

პრესომბუდსმენი A5



მეშვიდე ტიტული A7



თეატრი არის დრამატურგია?! A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი · ორშაბათი, 30 იანვარი, 2006 წელი. №19 (1171) · ფასი 50 თეთრი

## ამბები

### უგაზობა უგაზობის წილ

თბილისის მერის, გიგი უგულავას განკარგულებით, საქართველოში რუსეთის საელჩოსა და კომპანია "გაზექსპორტის" წარმომადგენლობას ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდა.

A2

## ამბები

### იყიდება საქართველო...

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ "ბოლო პერიოდში გახშირდა აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის ქონების უკანონო გასხვისების ფაქტები, რაც ამ რეგიონში ქართველი მოსახლეობის დაბრუნების წინააღმდეგ მიმართული მოქმედებაა და სეპარატისტული ხელმძღვანელობის მიერ ქართველთა ეთნიკური წმენდის პოლიტიკის აშკარა გაგრძელებას წარმოადგენს."

A2

## სპორტი

### ავსტრიას მეოთხე ხმა აკლია

აქეთ 1936 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი გარმიშპარტენკირხენი, იქით 1956 წლის თამაშების – კორტინა დ`ამპეცო. აქეთ ბავარიული ალპები, იქით დოლომიტები. აქეთ ვაჟები, იქით ქალები. მთლიანობაში - სამთომოთხილამურეთა მსოფლიო თასის ეტაპები, ჩანაფიქრში კი - კარსმომდგარი ტორინოს ოლიმპიური თამაშები. დამთხვევაც ამას ჰქვია.

A7

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 30/01 | 31 /01 |
|---|---|---|
| თბილისი | 3 | -3 |
| ტყიბული | 2 | 3 |
| სოხუმი | 2 | 4 |
| დმანისი | -5 | -8 |
| ბორი | 0 | -2 |
| ონი | -7 | -7 |
| ზუგდიდი | 3 | 6 |
| ახმეტა | 4 | -4 |
| ბაგრა | 2 | 0 |
| სამტრედია | 4 | 6 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7981 |
| ევრო | 2.1824 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.1765 |
| რუბლი | 0.0633 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| სტუმარი | A 3 |
| პროექტი | A 4 |
| პრესომბუდსმენი | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| სპორტი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# რუსული გაზი უკვე საქართველოშია

## 5 დღეში თბილისი ბუნებრივი აირით სრულად დაიტვირთება

დიანა ჩაჩუა

*გუშინ, დილის 11 საათისთვის საქართველოში რუსეთიდან ბუნებრივი აირის იმპორტი დაიწყო. თავდაპირველად, თბილისში გაზის მიწოდება ნუცუბიძის ფერდობის მე-3 მიკრორაიონს ალუდგა. შემდეგ ეს პროცესი ვაჟა-ფშაველას პირველ და მეორე კვარტლებში გაგრძელდა. დღეიდან გაზს მტკვრის მარცხენა სანაპიროს უბნები მიიღებენ. კერძოდ - ვაზისუბანი, ვარკეთილის ნაწილი, დიდი დიღომი, დიღმის მასივი, თემქა, ნაძალადევი, წერეთლის გამზირის ნაწილი. დღესვე გაზმომარაგების აღდგენა დასრულდება ვაჟა-ფშაველას კვარტლებში და ნუცუბიძის პლატოზე. 3 დღეში ბუნებრივ აირს თბილისის მოსახლეობის 80 პროცენტი მიიღებს, დედაქალაქის სრულ დაფარვას კი 6 დღე დასჭირდება.*

გაგრძელება A2 გვერდზე

# პოლიტიკაში დღეს მოსული ქალები სხვა ფილოსოფიის არიან

მაია ჭალაგანიძე

*ევროპელი ქართველი, რომელიც პირველად ჩამოსვლისას სხვა ქვეყნის ელჩი იყო, მერე ქართულ ხელისუფლებას წარმოადგენდა სხვა ქვეყნებში და ახლა ოპოზიციური საზოგადოებრივი მოძრაობის ლიდერია, საკუთარ ცხოვრებას ჯერ ვერ ასათაურებს. წიგნს, რომელიც სალომე ზურაბიშვილმა დაწერა, რომელსაც გამოსაცემად საფრანგეთში ამზადებენ და სადაც წინაპრების და მის მიერ განვლილ გზაზეა მოთხრობილი, სათაური ჯერ არ აქვს. სალომე ზურაბიშვილის ევროტური დასრულდა. კონფერენციებისა და მოხსენებების გარდა, მან ევროპაში ჩამოაყალიბა ქართულის ანალოგიური მოძრაობა, რომელსაც ჰქვია "ევროპული ინიციატივა საქართველოსთვის". ქვემოთ ქალბატონი სალომე საუბრობს ამ მოძრაობაზე, 6-კვირიან არყოფნაზე და ამ არყოფნის ჟამს ქვეყანაში მომხდარ მოვლენებზე.*

გაგრძელება A3 გვერდზე



სალომე ზურაბიშვილი.

# დიალოგის სამი ძირითადი პირობა

## ისრაელ-პალესტინის მომავალი ურთიერთობები

ისრაელის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ეჰუდ ოლმერტმა პალესტინის ავტონომიის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულ "ჰამასის" ტერორისტულ დაჯგუფებასთან დიალოგის სამი ძირითადი პირობა დაასახელა. გაზეთ "ჰაარეცის" ინფორმაციით, "ჰამასმა" უარი უნდა თქვას ძალადობაზე და მთლიანად განიარაღდეს, აღიაროს ისრაელის, როგორც სახელმწიფოს არსებობა, ასევე ცნოს ყველა ის შეთანხმება, რომელსაც ადრე ისრაელმა და პალესტინის ავტონომიამ მოაწერეს ხელი. ოლმერტის თქმით, მხოლოდ ამ შემთხვევაში დათანხმდება ისრაელი "ჰამასის" მიერ ფორმირებულ პალესტინის მთავრობასთან მოლაპარაკებას.

გაგრძელება A2 გვერდზე




# ლიტერატურული კონკურსი "საბა"-2006



## გამომცემლობების და ავტორების საყურადღებოდ

გაცნობებთ, რომ 2006 წელს უკვე მეოთხედ გაიმართება ყოველწლიური ლიტერატურული პრემია "საბას" დაჯილდოება, რომლითაც მოხდება ამჯერად უკვე 2005 წლის ლიტერატურული პროდუქციის შეფასება.

ყოველწლიურ ლიტერატურულ პრემია "საბას" დამფუძნებლები არიან სს თიბისი ბანკი, გაზეთი "24 საათი" და მწერალთა გაერთიანება "ქართული პენ-კლუბი". პრემიის მიზანია გასული წლის ლიტერატურული პროცესების შეფასება და წლის საუკეთესო ნაწარმოებების გამოვლენა.

წლეულსაც პრემიის გაცემა მოხდება ტრადიციულად 23 აპრილს. **პრემიაზე განიხილება 2005 წელს წიგნად გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები (რომანი, პროზაული კრებული, პოეტური კრებული), უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი, ასევე პერიოდიკაში (პრესაში) გამოქვეყნებული ან წიგნად გამოსული ლიტერატურული კრიტიკის ნიმუშები და პიესები.**

**ლიტერატურული პრემია გაიცემა შემდეგ ნომინაციებში:**

წლის საუკეთესო რომანი
წლის საუკეთესო პოეტური კრებული
წლის საუკეთესო პიესა
წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები
წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკოსი
წლის საუკეთესო თარგმანი
წლის საუკეთესო დებიუტი

**იმ გამომცემლობებს და ავტორებს, რომლებმაც 2005 წლის განმავლობაში გამოსცეს წიგნები ზემოთ ჩამოთვლილი ნომინაციების შესაბამისად, გთხოვთ, 31 იანვრამდე მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია: წიგნის სახელწოდება, ავტორი და გამომცემლობა.**

გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ შემდეგ რეკვიზიტებზე:
**ფაქსი: 772 774**
**e-mail: mdzirkvelishvili@tbcbank.com.ge**
**info@tbcbank.com.ge**
ან წერილობითი სახით მოგვაწოდოთ მისამართზე:
*თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 7, "თიბისი ბანკის" სათავო ოფისი*

*საკონტაქტო პირი: მაია ძირკველიშვილი*
*თიბისი ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური*

# საქართველოს საკითხის უინტერესოდ განხილვა ევროსაბჭოში

საქართველოს საკითხის განხილვა ევროსაბჭოში უინტერესოდ ჩატარდა. ასეთ შეფასებას აძლევს საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წევრი ლევან ბერძენიშვილი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიას.

"მივიღეთ რეზოლუცია, რომელშიც კარგიცაა ასახული და ცუდიც. თუმცა, საქართველოს ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ეს წარმატებაა. ვიდრე ქვეყანა მონიტორინგის ქვეშ იმყოფება, ვერც ერთი რეზოლუცია წარმატებულად ვერ ჩაითვლება. წარმატება იქნება ის, როდესაც საქართველოს ევროსაბჭო მონიტორინგს მოუხსნის," - განაცხადა ბერძენიშვილმა.

მისი თქმით, საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე ყველაზე საინტერესო აზერბაიჯანის საკითხის განხილვა იყო. აზერბაიჯანი ხმის უფლების დაკარგვას გადაარჩინეს, რაზეც ქართული დელეგაციაც აქტიურად ზრუნავდა. თუმცა, ქვეყანას ვადა ივნისამდე მიეცა. ზაფხულში კი აზერბაიჯანს შეიძლება არა მარტო ხმის უფლება ჩამოართვან, არამედ ევროსაბჭოდან გარიცხონ კიდეც. ამ სასჯელს ქვეყანა არჩევნების დროს დაფიქსირებული დარღვევების გამო მიიღებს.

სტრასბურგიდან ქართული დელეგაცია გუშინ დაბრუნდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას გალში ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის შექმნა სურს

აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს მოუწოდა, გალის რაიონში "ადამიანის უფლებათა ცენტრი" გახსნან. სეპარატისტული სოხუმის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა აცხადებს, რომ აფხაზეთის ხელისუფლება მზად არის, დახმარება აღმოუჩინოს ადამიანის უფლებათა დამცველ ადგილობრივ ჯგუფებს და ამ მიზნით გალში ოფისიც გამოუყოს. "ჩვენ ვიცით, რომ სიტუაცია გალში რთულია და ამგვარი ოფისი გალში კანონის უზენაესობის უზრუნველყოფაში დადებით როლს შეასრულებს," - აცხადებს სერგეი შამბა.

როგორც ცნობილია, გაეროს და ეუთოს ადამიანის უფლებათა ოფისის გახსნა ქართული მხარის პრინციპული მოთხოვნაა. აფხაზურ მხარეს გაეროს ხელმძღვანელობაც მოუწოდებს, დაიცვას გალის მოსახლეობის უსაფრთხოება და ადამიანის უფლებები. აფხაზური მხარე კატეგორიულად ეწინააღმდეგება გალში გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისის გახსნას იმ მოტივით, რომ ანალოგიური ოფისი უკვე ფუნქციონირებს სოხუმში.

სერგეი შამბა აცხადებს, რომ აფხაზური მხარის მიერ შემოთავაზებული ცენტრი იქნება დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც გაეროს სოხუმის ადამიანის უფლებათა ოფისთან და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ითანამშრომლებს. **მედიანიუსი**

# საპარლამენტო ოპოზიცია ახსნა-განმარტებებს მოითხოვს

ენერგოკრიზისის დასრულების შემდეგ, "კონსერვატიული" და "რესპუბლიკური პარტია" პარლამენტში პრემიერ-მინისტრისა და ენერგეტიკის მინისტრის სამთავრობო საათზე გამოცხადებას საგაზაფხულო სესიის პირველსავე სხდომაზე მოითხოვს.

როგორც "კონსერვატიული პარტიის" წარმომადგენელმა კახა კუკავამ განაცხადა, ქვეყნისათვის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის არქონის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გასათვალისწინებელია, თუ საიდან იღებს ენერგორესურსებს სახელმწიფო.

"მთელი 5 წლის განმავლობაში გვესმოდა, რომ საქართველო ირანიდან გაზს ვერ მიიღებდა, რადგან არ არსებობდა ინფრასტრუქტურა, რომლის საშუალებითაც საქართველოსათვის ირანული გაზის მიღება იქნებოდა შესაძლებელი," - აღნიშნა კუკავამ.

მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლება ირანიდან გაზის იმპორტთან დაკავშირებით აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებებს წარმატებით ამთავრებს.

"ამიტომაც ჩვენს პოლიტიკურ ძალას გაუჩნდა ეჭვები და სამთავრობო საათზე სწორედ იმის გარკვევას შეეცდება, რა გაზს იღებს საქართველო. არის ეს მართლაც ირანული, თუ რუსული გაზი," - განაცხადა დეპუტატმა.

კუკავას თქმით, საზოგადოებამ სიმართლე უნდა იცოდეს და საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტი" ხალხს ამის გარკვევაში დაეხმარება. **ინტერპრესნიუსი**

# პურისა და შეშის დარიგებას ოპოზიცია ხალხისათვის "შეურაცხმყოფელად და ამორალურად" თვლის

"საქართველოს კონსერვატიული პარტიის" წარმომადგენელი კახა კუკავა ენერგობლოკადის გამო საქართველოს ხელისუფლების მიერ მოსახლეობის უფასო პურითა და შეშით დახმარებას ხალხისათვის "შეურაცხმყოფელსა და ამორალურს" უწოდებს.

როგორც კუკავა აცხადებს, ხელისუფლების აღნიშნული ქმედებები მხოლოდ პიარისთვისაა განკუთვნილი და მოსახლეობის რეალურ დახმარებას არ ითვალისწინებს.

"როცა 4 ნაჭერი შეშა ხუთ დეპუტატს მიაქვს, ხელის მოსაკიდებელი ადგილი აღარ რჩება და ამას ექვსი ტელეკამერა იღებს, ნამდვილად იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება ამას პიარისათვის აკეთებს," - აღნიშნა კუკავამ.

მისი განცხადებით, ის, რასაც მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები, აგრეთვე, დეპუტატები დღეს ტელეკამერების წინ აკეთებენ, მათი მოვალეობაა და ამას ტელეკამერები არ სჭირდება.

"იმ ფონზე, როცა არც ერთი მკვეთრად ოპოზიციური პარტია ქვეყანაში შექმნილ ვითარებას სოციალური მღელვარების ასაგორებლად არ იყენებს, ხელისუფლების მიერ ხალხის გაჭირვების ხარჯზე გაკეთებული პიარი ამორალურად უნდა ითვლებოდეს," - აცხადებს კუკავა. **ინტერპრესნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხაინდრავა ბაქოში გაემგზავრა. მისი ვიზიტი მაჰმადიანი მესხების რეპატრიაციის საკითხს ეხება. როგორც სახელმწიფო მინისტრის აპარატში განაცხადეს, იგი ე.წ. "თურქი მესხების" საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარეცაა. ვიზიტის ფარგლებში, ხაინდრავა ბაქოში შეხვედრებს გამართავს თავის აზერბაიჯანელ კოლეგასთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან. განიხილება აზერბაიჯანში მცხოვრები მაჰმადიანი მესხების აღრიცხვასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები. ხაინდრავა ბაქოში 2 დღეს დაჰყოფს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქვეყანაში არსებული ენერგოკრიზისის გამო, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და გაერთიანებული პროფკავშირების ინიციატივით, დედაქალაქში მცხოვრებ 3000-მდე შეჭირვებულ ოჯახს შეშას, ნავთს და სურსათს დაურიგებენ. ოჯახები სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს მონაცემთა მიხედვით შეირჩა. აღნიშნული ქველმოქმედებისთვის თანხა ფარმაცევტულმა კომპანიებმა "ჯი პი სი"-მ და "პე ეს პე"-მ გაიღეს. თითო ოჯახი ერთ ტომარა შეშას, 10 ლიტრ ნავთს, პურს, მაკარონს და სხვა პროდუქტებს მიიღებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტისა და თბილისის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისში, ყიფშიძის ქუჩაზე დააკავეს მრავალჯერ ნასამართლევი "კანონიერი ქურდი" რამაზ ჯინჭარაძე. ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებულია "პსმ"-ისა და "ტტ"-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღები. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა ყაჩაღობასა და მკვლელობის მცდელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, გლდანში მცხოვრები, 25 წლის დავით მსტოიანი სხვა პირებთან ერთად 25 იანვარს ყაჩაღურად თავს დაესხა გლდანში მდებარე მაღაზიას, რა დროსაც მძიმედ დაიჭრნენ აზა და ელზა გულბანები. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას აწარმოებს გლდანი-ნაძალადევის რაიონის შს სამმართველო. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შსს თანამშრომლებმა მარნეულში დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შენახვის ფაქტზე 34 წლის გასინ მამედოვი დააკავეს. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, პოლიციის თანამშრომლებმა მამედოვის სახლის ჩხრეკისას 1, 260 გრამი "ოპიუმი" და 1, 354 გრამი "ჰეროინი" ამოიღეს. მასვე აღმოჩნდა გადაჭრილი სანადირო თოფი და ორი ვაზნა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას მარნეულის შს განყოფილება აწარმოებს. **ინტერპრესნიუსი**

# რუსული გაზი უკვე საქართველოშია

პირველი გვერდიდან

საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ ტელეფონოგრამა, რომელიც საქართველოში ბუნებრივი აირის განახლებას იუწყებოდა, "კავკაზტრანსგაზისგან" გუშინწინ საღამოს მიიღო. გუშინ, დილის 11 საათისთვის ყაზბეგს უკვე მიეწოდებოდა რუსული ბუნებრივი აირი. ამ დროს კი დედაქალაქი ბუნებრივი აირის მოლოდინში იყო და გაზმომარაგების სისტემის დატვირთვის ვადებზე მსჯელობდა. **"ბუნებრივი აირით თბილისის სრულ დატვირთვას ჩვეულებრივ პირობებში ერთი თვე სჭირდება, თუმცა საგანგებო მდგომარეობის გამო, "თბილგაზში" რამდენიმე მობილური ჯგუფი მუშაობს, რომლებიც შეეცდებიან, გაზით დედაქალაქის სრული დატვირთვა 5-6 დღეში უზრუნველყონ,"** - აცხადებდნენ "თბილგაზში".

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ ცენტრალური მილი შეკეთდა. სარეზერვო მილის შეკეთება კი დღის წესრიგში არ დგას და მისი რეაბილიტაცია გაზაფხულისთვის იგეგმება.

მიუხედავად იმისა, რომ რუსულმა გაზმა უკვე გადმოლახა ქვეყნის საზღვრები, საქართველო ირანიდან ალტერნატიულ გაზს მაინც მიიღებს. პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის ვარაუდით, ირანული გაზი საქართველოში დღეს დილიდან შემოვა.

**"საქართველოს ხელისუფლება აუცილებლად შექმნის ალტერნატივებს და მომარაგების ერთ წყაროზე დამოკიდებული აღარ იქნება,"** - ჰპირდებოდა გუშინ პრემიერ-მინისტრი მოსახლეობას.

როგორც "გაზპრომის" წარმომადგენელმა საქართველოში დავით მორჩილაძემ "ჯი-ეიჩ-ენთან" საუბარში ივარაუდა, ირანული გაზი საქართველოსთვის ალტერნატიული იქნება და, **"ალბათ, რუსეთის მილსადენზე მომხდარი ავარიების შემთხვევაში გამოიყენება".** მისივე თქმით, ალტერნატიული მილსადენის არსებობა რუსეთის გაზის საფასურზე არ აისახება, ვინაიდან "გაზპრომთან" კონტრაქტი გაფორმებულია და ის არ შეიცვლება.

ამასთან, როგორც საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში აღნიშნავენ, ირანიდან გაზის მოწოდება იმ დრომდე გაგრძელდება, ვიდრე საქართველო რუსეთიდან გაზის მოწოდებაში არ იქნება დარწმუნებული.

**"ირანთან მოლაპარაკებები შემდგომშიც გაგრძელდება, რათა მსგავს ფორსმაჟორულ ვითარებაში ირანული გაზი რუსული ბუნებრივი აირის ალტერნატივად ითვლებოდეს. საქმე ის არის, რომ თუ ირანი გაზის ძირითად მომწოდებლად ჩაითვლება, მაშინ შესაძლოა, საქართველოს გაზგამანაწილებელ ქსელში დამატებითი ტექნიკური სამუშაოების ჩატარება აუცილებელი გახდეს,"** - განაცხადეს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში.

დღეს ბუნებრივ აირს სომხეთიც მიიღებს. შედეგად, ჩაირთვება სომხეთის ელექტროსადგური, საიდანაც საქართველო 120 მეგავატ ელექტროენერგიას მიიღებს.

ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, თბილისის ელექტრომომარაგება 24-საათიან რეჟიმში, სავარაუდოდ, დღეიდან გადავა. ამის თქმის საშუალებას პრემიერ-მინისტრს შემდეგი გარემოებები აძლევს: გუშინ, ენერგეტიკოსების ორდღიანი მუშაობის შედეგად, "თბილსრესის" მე-9 ენერგობლოკი ჩაირთო. თავდაპირველად, ენერგობლოკის მიერ გამომუშავებული სიმძლავრე 200 მეგავატ ელექტროენერგიას შეადგენდა, რაც დღის ბოლომდე 250 მეგავატამდე გაიზარდა. ამასთან, ჯერჯერობით კვლავ მუშაობს მე-4 ენერგობლოკი, რომელიც 130 მგვტ სიმძლავრეს გამოიმუშავებს. როგორც გუშინ გაირკვა, თუ აირის წნევა ორივე ბლოკის მუშაობისთვის საკმარისი აღმოჩნდა, ენერგეტიკოსები მე-4 ენერგობლოკს არ გააჩერებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მე-4 ენერგობლოკი მე-9 ენერგობლოკის სრულ სიმძლავრეზე გადასვლის შემდეგ გამოირთვება. რაც შეეხება მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზს "იმერეთს", წაქცეული ანძის მონტაჟი კომპანია "საქრუსენერგოს" წარმომადგენლებმა გუშინ დაიწყეს. თუმცა, როდის დასრულდება აღდგენითი სამუშაოები, ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებენ.

მე-9 ენერგობლოკის ჩართვის მიუხედავად, გუშინ საღამოს თბილისის ელექტრომომარაგებაში მცირე შეზღუდვები მაინც იყო - მოსახლეობას ელექტროენერგიის მიწოდება 1-2 საათით შეუწყდა.

საინტერესო ინფორმაცია: გუშინ ბაქოს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა და მთელი ქალაქი უშუქოდ დარჩა. "ინტერფაქსის" ინფორმაციით, გამორთვა არა მარტო დედაქალაქს, არამედ აზერბაიჯანის რაიონების ნახევარსაც შეეხო. მიზეზი 500-კილოვოლტიანი გამწყდარი კაბელია, რომელიც ელექტროენერგიას ბაქო–მინგეჩაურის ჰიდროელექტროსადგურიდან იღებს.

# უგაზობა უგაზობის წილ

თბილისის მერის, გიგი უგულავას განკარგულებით, საქართველოში რუსეთის საელჩოსა და კომპანია "გაზექსპორტის" წარმომადგენლობას ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდა. ამ ობიექტებისთვის ბუნებრივი აირის შეწყვეტის დავალება კომპანია "თბილგაზს" მიეცა. დედაქალაქის მერის თქმით, უმჯობესია, თუნდაც ორი საცხოვრებელი კორპუსი გათბეს, ვიდრე ის ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში შექმნილ ენერგობლოკადასთან უშუალო კავშირში არიან. უგულავას განცხადებით, ორივე დაწესებულებას ბუნებრივი აირის მიწოდება მხოლოდ მაშინ აღუდგება, როცა ბუნებრივი აირის მიწოდების პროცესი მთელ თბილისში აღდგება.

თავის მხრივ, რუსული მხარეც მოსკოვში საქართველოს საელჩოსთვის ბუნებრივი აირის შეწყვეტით დაიმუქრა. ამის შესახებ ინფორმაცია რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ამ რეაქციით რუსული დიპლომატია თბილისის მერის გიგი უგულავას განცხადებას გამოეხმაურა, რომლის საფუძველზეც, რუსეთის საელჩოს საქართველოში ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდა.

"ეს კიდევ ერთი მორიგი ანტირუსული აქციაა, რომელიც ისეთ დროს განხორციელდა, როდესაც რუსი სპეციალისტები ურთულეს პირობებში ჩრდილოეთ კავკასიაში სარემონტო სამუშაოებს ახორციელებდნენ. ქართულ მხარეს უნდა ესმოდეს, რომ ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური თანამშრომლობის პრინციპებიდან გამომდინარე, რუსულ მხარეს აქვს უფლება, ადეკვატური ზომები მიიღოს მოსკოვში საქართველოს საელჩოსთან მიმართებაში," - ნათქვამია განცხადებაში. საქართველოში გაზის მოწოდების განახლებასთან ერთად, ალბათ, სიტუაცია განიმუხტება.

# იყიდება საქართველო...

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ **"ბოლო პერიოდში გახშირდა აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის ქონების უკანონო გასხვისების ფაქტები, რაც ამ რეგიონში ქართველი მოსახლეობის დაბრუნების წინააღმდეგ მიმართული მოქმედებაა და სეპარატისტული ხელმძღვანელობის მიერ ქართველთა ეთნიკური წმენდის პოლიტიკის აშკარა გაგრძელებას წარმოადგენს."**

საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, აფხაზეთში ქართველთა კომპაქტური დასახლების ადგილებში ხორციელდება მათი სახლების მასიური ნგრევა, გამოთავისუფლებული მიწის ნაკვეთების შემოღობვა და აუქციონის წესით მათი გასხვისება უცხოელ ინვესტორებზე, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას რუსეთის მოქალაქეები წარმოადგენენ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში მოყვანილია კონკრეტული ფაქტები. კერძოდ, ქ. გაგრაში: რუსთაველის ქუჩაზე ეროვნებით ქართველი ნუკრი ქაქუჩაიას ყოფილი საცხოვრებელი სახლის ტერიტორიაზე აშენდა სასტუმრო, რუსთაველის ქუჩაზე ქართველი ეროვნების სიჭინავას, გულორდავასა და ფიფიას ყოფილი საცხოვრებელი სახლების ტერიტორიაზე აშენდა მაღაზიების ქსელი, ნინოშვილის ქუჩაზე ეროვნებით ქართველი გეგეჭკორის საცხოვრებელი სახლის ტერიტორიაზე აშენდა ხუთსართულიანი სასტუმრო, რუსთაველის ქუჩაზე ქართველი ეროვნების ზურა ჯინჭარაძისა და შოთა ჯანგიძის ყოფილი საცხოვრებელი სახლების ტერიტორიაზე აშენდა კაფე-ბარი და რესტორანი. ქალაქ სოხუმში: სეპარატისტული ხელისუფლების მიერ ლაკობას ქუჩაზე აღებულ იქნა კერძო სახლებისაგან შემდგარი კომპაქტური დასახლება და მის ადგილზე აშენდა მაღალი კლასის სასტუმრო.

**"სოხუმის რეჟიმის ლიდერების ამგვარი მოქმედებები სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს არა მარტო რეგიონში დარჩენილ ქართულ მოსახლეობასა და ადგილობრივ პოლიტიკურ ოპოზიციას შორის, არამედ თვით ხელისუფლების აქტიურ მხარდამჭერთა რიგებშიც,"** - ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

დიპლომატიური უწყება კიდევ ერთხელ აფრთხილებს არაკეთილსინდისიერ ბიზნესმენებს, რომ საქართველოს კანონმდებლობის წესების დარღვევით შეძენილი ქონება საქართველოს ნებისმიერ კუთხეში, მათ შორის - აფხაზეთში, აუცილებლად ჩამოერთმევათ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს სოხუმის რეჟიმის მიერ ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ დისკრიმინაციულ პოლიტიკას და კიდევ ერთხელ მიმართავს შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს (გაერო, ეუთო, ევროსაბჭო) და გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებს, უფრო აქტიური რეაგირება მოახდინონ სეპარატისტთა ამგვარ მოქმედებებზე.

*24 საათი*

# ქართული დელეგაცია ჟენევაში მიემგზავრება

ქართული მხარის დელეგაცია, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას ხელმძღვანელობით, დღეს ჟენევაში, 2-3 თებერვლისათვის გაეროს ეგიდით დაგეგმილ მორიგ ქართულ-აფხაზურ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრება.

ხაინდრავას განცხადებით, ჟენევაში დაგეგმილ შეხვედრაზე ქართული მხარე გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების ხედვას წარუდგენს. შეხვედრაზე ქართული დელეგაცია მხარეებს თავის მოსაზრებებს გააცნობს, როგორც ომის განუახლებლობისა და დევნილთა დაბრუნების შესახებ მხარეების მიერ ერთობლივად შესამუშავებელ დოკუმენტებზე, ასევე იმ ვითარებაზე, რომელიც კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების უმოქმედობის ფონზე, გალის რაიონშია შექმნილი და რომელიც "აფხაზური ადმინისტრაციის მხრიდან აპარტეიდის ნიშნებს შეიცავს".

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას ინფორმაციით, აფხაზური მხრიდან ჟენევის შეხვედრაში მონაწილეობას, მის გარდა, აფხაზური პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ბესლან ბუთბა და ბაგაფშის ყოფილი მრჩეველი და "დემოკრატიის კავკასიური ინსტიტუტის" აფხაზეთის ფილიალის ხელმძღვანელი სოკრატ ჯინჯოლია მიიღებენ.

შამბას განცხადებით, იგი და აფხაზური დელეგაცია ჟენევის შეხვედრისაგან "განსაკუთრებული მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღებას არ ელის". მისი თქმით, აფხაზური მხარე, ქართული მხარის მსგავსად, ჟენევის შეხვედრაში მონაწილე გაეროს გენმდივნის მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებს აფხაზეთში შექმნილი ვითარებისა და სოხუმსა და თბილისს შორის მიმდინარე მოლაპარაკებათა პროცესზე სოხუმის ხელისუფლების მოსაზრებებსა და ხედვას გააცნობს.

შამბა ჟენევის შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და აფხაზთა ლიდერის სერგეი ბაგაფშის შეხვედრას გამორიცხავს. როგორც მან განაცხადა, ამგვარი შეხვედრა შესაძლოა მართლაც გამართულიყო, რომ არა ქართული მხარის მიერ "უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიებისა" და "დევნილთა დაბრუნების" შეთანხმებულ დოკუმენტებში შესწორებებისა და კორექტირების შეტანა, რამაც შეთანხმებული დოკუმენტების სერიოზული და აფხაზური მხარისათვის მიუღებელი ცვლილებები გამოიწვია.

"აფხაზურ მხარეს პრეზიდენტების შეხვედრის ორგანიზებაზე უარი არ უთქვამს, მაგრამ იმის გამო, რომ მნიშვნელოვან დოკუმენტებზე მხარეები ვერ შეთანხმდნენ, ამჯერად, ჟენევაში მათ შეხვედრას გამოვრიცხავ," - აღნიშნა შამბამ.

*ინტერპრესნიუსი*

# დიალოგის სამი ძირითადი პირობა

პირველი გვერდიდან

როგორც "ჰაარეცი" დასძენს, ეს მოთხოვნები ისრაელის პრემიერის მოვალეობის შემსრულებელმა გაეროს გენერალურ მდივანთან კოფი ანანთან, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან ტონი ბლერთან, საფრანგეთის პრეზიდენტთან ჟაკ შირაკთან, ეგვიპტის პრეზიდენტთან ჰოსნი მუბარაქთან და იორდანიის მეფე აბდულა II-სთან შაბათს გამართული სატელეფონო საუბრისას ჩამოაყალიბა.

ამასთან ერთად, ეჰუდ ოლმერტმა აღნიშნა, რომ ახლო აღმოსავლეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო შუამავალთა პოზიციას. 30 იანვარს ლონდონში დაგეგმილია საერთაშორისო შუამავალთა ოთხეულის - გაეროს, ევროკავშირის, რუსეთისა და აშშ-ს წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელზეც ახლო აღმოსავლეთისთვის სამშვიდობო გეგმის - "საგზაო რუკის" განხორციელების გზებზე იქნება საუბარი.

საერთაშორისო საზოგადოების მოწოდების - უარი თქვას პალესტინამ ძალადობაზე - პასუხად "ჰამას"-ის პოლიტიკური დაჯგუფების ლიდერი ახალი პალესტინური არმიის შექმნის პერსპექტივაზე საუბრობს, რომელიც, ძირითადად, ამავე პარტიის წევრებით იქნება დაკომპლექტებული.

"ჰამას"-ის ინიციატივას დაჯგუფების ერთ-ერთი გავლენიანი აქტივისტი, დღემდე სირიაში იძულებით გადასახლებული ხალედ მიშალი გამოეხმაურა. მისი თქმით, პალესტინის ახალი არმიის შექმნა ავტონომიას გარეშე აგრესიისაგან დაიცავს.

**"მანამდე, ვიდრე ჩვენ ოკუპაციის პირობებში ვცხოვრობთ - წინააღმდეგობა ჩვენი უფლებაა. ჩვენ სამშვიდობო შეთანხმებას იქამდე დავიცავთ, ვიდრე ეს პალესტინის ხალხის ინტერესებში იქნება,"** - განაცხადა მიშალმა.

პალესტინის ტერიტორიაზე კი კვლავ გრძელდება არეულობები. არჩევნებში დამარცხებული "ფათჰ"-ი პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ გამოსვლებს განაგრძობს. არჩევნების შემდეგ პარტიის წევრებმა ღაზაში პალესტინის პარლამენტის შენობაც კი დაიკავეს, მაგრამ მალევე დატოვეს. რაც შეეხება რამალას, დემონსტრანტებმა იქაც სცადეს იმ შენობის დაკავება, სადაც ავტონომიის ხელისუფლებაა განთავსებული, მაგრამ დაცვამ მათი იერიში მოიგერია. რამდენიმე ადამიანი დაიჭრა ხან იუნისში მომხდარი შეტაკების დროს.

ხალედ მიშალის განცხადებამ კი, შეიძლება ითქვას, ცეცხლზე ნავთი დაასხა, რადგან "ფათჰ"-ი "ძალოვან სექტორს" საკუთარ პრიორიტეტად მიიჩნევს. საკუთარი ნიშის დაკარგვის შიშის გამო, მათ გააფრთხილეს კიდეც "ჰამას"-ის ხელმძღვანელობა, რომ ამგვარი მიმართულებით მუშაობის გაგრძელება კარგს არაფერს მოუტანს პალესტინის ავტონომიას.

**"უსაფრთხოების ძალები ხელშეუხებელია. ჩვენ არავის მივცემთ ნებას ამ სფეროში ჩაერიოს,"** - თქვა პოლიციის მეთაურმა ღაზი ალა ჰოსნიმ.

მიშალის თქმით კი, ხელისუფლების განაწილების თაობაზე მას საუბარი ჰქონდა "ფათჰ"-ის ლიდერთან მაჰმუდ აბასთან, რომელიც ასეთი ალიანსის შექმნის წინააღმდეგია.

საპარლამენტო არჩევნებში "ჰამას"-მა სადეპუტატო მანდატების ნახევარზე მეტი მიიღო, მაგრამ ეს საკმარისი არაა მაჰმუდ აბასის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე ვეტოს დასადებად. სწორედ ამიტომ, ტერორისტული დაჯგუფების სახელით ცნობილი ორგანიზაციის მეთაური არ გამორიცხავს ხელისუფლების დამოუკიდებლად ფორმირებასაც იმ შემთხვევაში, თუ "ფათჰ"-ი არ დათანხმდება შეთავაზებულ კავშირს.

რაც შეეხება საერთაშორისო საზოგადოების მოწოდებას აგრესიისაგან თავშეკავებისა და წინააღმდეგ შემთხვევაში ავტონომიაში უცხოური დაფინანსების წყაროს შეწყვეტის მუქარას, "ჰამას"-ის ხელმძღვანელობა აგრესიით პასუხობს.

"ჰამას"-ის ერთ-ერთი ლიდერის ისმაილ ხანიას განცხადებით, უცხოური დახმარება არ უნდა ეკიდოს პალესტინის ავტონომიას თავზე დამოკლეს მახვილივით.

**"ჩვენ არავის მივცემთ ჩვენი ხალხის შანტაჟის უფლებას,"** - განაცხადა ხანიამ.

ისრაელი კი, თავის მხრივ, აცხადებს, რომ არ შეწყდება ბოევიკთა ლიდერების წერტილოვანი განადგურების პოლიტიკა მანამდე, ვიდრე "ჰამას"-ი გააგრძელებს აგრესიულ აქციებს და არ აღიარებს ისრაელის უფლებას - ჰქონდეს სახელმწიფო.

"ვინც ტერორისტული ორგანიზაციის სათავეში დგას და აგრძელებს შეიარაღებულ თავდასხმებს ისრაელზე, დაზღვეული არ არის საპასუხო აგრესიისაგან," - აღნიშნა ისრაელის თავდაცვის მინისტრმა შაულ მოფაზმა.

*24 საათი*

## მოკლედ

### 2005 წელს ევროსაბჭოს სასამართლოში საქართველოდან სამი სარჩელი დარეგისტრირდა

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრეზიდენტის, ლუციუს ვაილდჰაბერის თქმით, 2005 წელს სასამართლოში 1105 სარჩელი განიხილეს, რაც 487-ით მეტია, 2004 წელთან შედარებით.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრეზიდენტის განცხადებით, სასამართლოში განსახილველად ყველაზე მეტი - 270 საქმე თურქეთიდან შევიდა. მოსარჩელეთა უდიდესი ნაწილი სამართლიან სასამართლოს მოითხოვდა. განხილულ საქმეთა რაოდენობის მიხედვით, მეორე ადგილზე უკრაინაა - მასზე 119 საქმე მოდის. ხოლო მესამე ადგილზე კი, 100 საქმით, საბერძნეთი ლიდერობს.

დსთ-ის ქვეყნებიდან "მშობლიური" სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილოთა რიცხვი მაღალია რუსეთშიც. სტრასბურგში გასაჩივრებულ საქმეთა რიცხვი 81-ს აღწევს. რაც შეეხება საქართველოს, 2005 წელს სტრასბურგის სასამართლოში სამი სარჩელი დარეგისტრირდა. მათი უმეტესობა წამებისა და სასამართლო პროცესის გაჭიანურების აღკვეთას, ასევე თავისუფლების, უსაფრთხოებისა და კერძო საკუთრების დაცვას მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ მეზობელი ქვეყნების, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოქალაქეებს, სტრასბურგში 2005 წელს არც ერთი სარჩელი არ შეუტანიათ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "მეამბოხე მოსამართლეების" საქმის განხილვა დღეს განახლდება

ე.წ. "მეამბოხე მოსამართლეების" საქმის განხილვას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დღეს განაახლებს.

როგორც მოსამართლეების ერთ-ერთი ადვოკატი ეკა ბესელია აცხადებს, სხდომაზე დაცვის მხარე საბჭოს რამდენიმე შუამდგომლობით მიმართავს. შეგახსენებთ, რომ ბოლო სხდომაზე მოსამართლეებმა იუსტიციის საბჭოს ერთ-ერთი წევრის ნინო კალანდაძის აცილების საკითხი დააყენეს, თუმცა კოლეგიამ ეს მოთხოვნა უსაფუძვლობის გამო არ დააკმაყოფილა. მოსამართლე ნინო გვენეტაძის ინფორმაციით, მათ გერმანიიდან მიიღეს დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ კალანდაძეს არა აქვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის უფლება. გვენეტაძის განმარტებითვე, მოსამართლეებს აქვთ "გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობიდან" (GTZ) ოფიციალური დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, ნინო კალანდაძე გერმანიის ქალაქ ეშფორდში 10 დღის განმავლობაში იყო საქართველოდან ჩასული სტუმრების დამხვედრ-გამცილებლის და თარჯიმნის სტატუსით.

"ნინო კალანდაძეს თავის ბიოგრაფიაში მითითებული აქვს, რომ იგი გერმანიის ქალაქ ეშფორდში GTZ-ში მუშაობდა იურისტ-ექსპერტად 2000-დან 2004 წლამდე, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. კანონის თანახმად, იურისტი ვერ დაინიშნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად, თუ მას არ გააჩნია იურისტად მუშაობის 5 წლის გამოცდილება, რაც კონკრეტულ შემთხვევაში დაირღვა", - ირწმუნებიან გასასამართლებელი მოსამართლეები.

ნინო კალანდაძე მისი აცილების შესახებ მოთხოვნას უსაფუძვლოს უწოდებს და აცხადებს, რომ მოსამართლეებს მისი გერმანიაში იურისტად მუშაობის სტაჟის შესახებ სრული ინფორმაცია არ გააჩნიათ.

შეგახსენებთ, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2005 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით, პროცესუალური ნორმების დარღვევის გამო, თანამდებობიდან გათავისუფლდა უზენაესი სასამართლოს 3 მოსამართლე მერაბ ტურავა, ნინო გვენეტაძე, მურმან ისაევი, ხოლო ამავე სასამართლოს კიდევ ერთ მოსამართლეს დავით სულაქველიძეს შენიშვნა გამოეცხადა. ე.წ. "მეამბოხე მოსამართლეებმა" იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 25 დეკემბრის გადაწყვეტილება ამავე უწყებაში გაასაჩივრეს. **ინტერპრესნიუსი**

### დავით მირცხულავას ადვოკატებმა ახალი დოკუმენტები მოიპოვეს

ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას ადვოკატები საქმეში დაზარალებულად ცნობილი "საქენერგო-2000"-ის საქმიდან ჩამოცილებას მოითხოვენ.

როგორც დავით მირცხულავას ადვოკატი ეკა ბესელია აცხადებს, დაცვის მხარემ მოიპოვა ახალი დოკუმენტები, რომლითაც უტყუარად დასტურდება, რომ "საქენერგო-2000"-ს მირცხულავას ქმედებით არავითარი ზარალი არ მიუღია. სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის ადვოკატები აღნიშნულ დოკუმენტებს სასამართლო კოლეგიას 10 თებერვალს დანიშნულ სხდომაზე წარუდგენენ.

"სხვადასხვა მიზეზის გამო, ამ დრომდე ვერ მოხერხდა "საქენერგო-2000"-ის წარმომადგენლის ნონა წურწუმიას დაკითხვა. მორიგ სხდომაზე, ჩვენ, "საქენერგო-2000"-ის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების ბათილად ცნობას მოვითხოვთ", აცხადებს დავით მირცხულავას ინტერესების დამცველი. თბილისის სააპელაციო სასამართლოში ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას სასამართლო პროცესი 10 თებერვალს განახლდება. სააპელაციო სასამართლოში დავით მირცხულავას ადვოკატები ყოფილი მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს განაჩენს ასაჩივრებენ, რომლის თანახმადაც მირცხულავას 10 წლით პატიმრობა მიესაჯა. *ინტერპრესნიუსი*

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია



## სტუმრად მაია ქალაგანიძესთან

# პოლიტიკაში დღეს მოსული ქალები სხვა ფილოსოფიის არიან

პირველი გვერდიდან

- კონფერენციებზე ვიყავი დაპატიჟებული, მონაკოში ჩატარდა "ტრანსმონტანას ფორუმი", სპეციალური სესია "ქალები და პოლიტიკა", სადაც მოხსენებით გამოვდიოდი. ეს არ არის საერთაშორისო სამთავრობო კონფერენცია, სადაც სტატუსიან ხალხს ეპატიჟებიან. იქ პირადად ვიყავი მიწვეული.

მეორე კონფერენცია პარიზთან ახლოს არსებულ დიდ სამონასტრო კომპლექსში გაიმართა. მას "ვაიომონის შეხვედრები" ჰქვია. იქ მოხსენება მქონდა პოლიტიკის ახალ ფორმებზე. ჩემთან ერთად მოხსენებით გამოდიოდა ფინელი ქალბატონი, რომელიც საფრანგეთიდან არის არჩეული ევროპარლამენტში. მერე ვიყავი ბრიუსელში. ევროპარლამენტში გაიმართა შეკრება, სადაც მსჯელობდნენ ევროპის პოლიტიკაზე საქართველოსა და ამ რეგიონის მიმართ. ბოლოს ვენაში ვიყავი საერთაშორისო სემინარზე, სადაც საუბარი გაიმართა ახალ დემოკრატიებში დემოკრატიის დონეზე - რა ემუქრება ამ დემოკრატიებს, რა საფრთხეები არსებობს და სხვა.

შემდეგ ვიყავი გერმანიაში, სადაც მთავარ ფონდებთან - კონრად ადენაუერის, ბიოლის, ვუფმანის, შტიფტუნგის ფონდებთან მქონდა შეხვედრები. მაინტერესებდა, რამდენად და რა ფორმით არიან მზად, დაეხმარონ ჩემს მოძრაობას აქ, საქართველოში და იმ მოძრაობას, რომელიც ევროპაში ჩამოვაყალიბე და რომელსაც ჰქვია "ევროპული ინიციატივა საქართველოსთვის".

**- დახმარების რა დონის მზადყოფნა შეატყვეთ ამ ფონდებს და ვინ არის გაწევრიანებული ევროპულ მოძრაობაში?**

- ევროპულ მოძრაობაში ჯერ მხოლოდ პატარა სამუშაო ჯგუფია შექმნილი. გვინდა, რამდენიმე წამყვანი ევროპელი შემოვიდეს "ბორდში", რადგან "ბორდი" უნდა იყოს ხიდი ამ მოძრაობისთვის, რომელიც მიმართულია ევროპელებისადმი. ევროპაში უნდა შეიგნონ, რომ ამ რეგიონის დახმარება მათი ვალდებულებაა და რომ ამ რეგიონში მათი მომავალი თამაშდება.

**- ეს იდეა როგორ მიაწოდეთ ევროპელებს?**

- მოხსენებებით, სტატიებით, გამოსვლებით. შეხვედრებით კერძო პირებთან, საზოგადოებასთან და არა მხოლოდ ხელისუფლებასთან და წამყვან პარტიებთან. შევხვდი ბევრ მრეწველსა და ბიზნესმენს. მათ პირველ რიგში იკითხეს, რა დარგში შეეძლოთ ინვესტიციების განხორციელება საქართველოში. მე ვპასუხობდი, რომ მათ ეს ჩემთან კი არა, მთავრობებთან და მათ ეკონომიკურ გუნდებთან უნდა გაარკვიონ. ჩემი ინტერესი იყო, მიხვედრილიყვნენ, რომ ევროპის მომავალი, სტაბილურობა და ეკონომიკური განვითარება ყველანაირად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოხდება ჩვენს რეგიონში.

**- რით უსაბუთებდით ამას?**

- ამ კუთხით დიდი მნიშვნელობა არ აქვს, იქნება ეს რეგიონი ევროპაში თუ - არა. რეგიონის არასტაბილურობა დამანგრეველია ევროპისთვის, რადგან 2007 წელს, როდესაც ბულგარეთი და რუმინეთი ევროკავშირში შევლენ, აფხაზეთის რეგიონი ევროკავშირის საზღვარზე ჩნდება. ყველამ იცის, რომ ეს არის ყველაზე რთულად გასაკონტროლებელი საზღვარი და ეს არაკონტროლირებადი რეგიონი, სადაც კანონი არ კანონობს, შენს საზღვარზე მოდის.

**- რეგიონის სტაბილურობა, კონფლიქტების მოგვარება ჩვენი ხელისუფლების მიზანიც არის. ამ სურვილებში ერთგვარად ხელისუფლებასთან გადაიკვეთეთ, არა?**

- ეს პირველ რიგში, ევროპის ინტერესია. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, რომ ეს ევროპელმა გაიგოს. რადგან ეს ხელისუფლება ამას ამბობს, არ ნიშნავს, რომ მე სხვაგვარად უნდა ვთქვა. მჯერა, რომ ეს აუცილებელი და მიშვნელოვანია ევროპისთვის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ევროპისთვის ყველა შესაძლო ალტერნატიული ენერგეტიკული გზა ამ რეგიონზე გადის.

როდესაც ევროპაში ხარ და უყურებ, რა ხდება უკრაინაში და ხედავ, რომ ხვალ ევროპასაც შეეხება ასეთი პოლიტიკა, უნდა მიხვდე, რომ ეს რეგიონი შენი ინტერესია. თუ გაინტერესებს ალტერნატიული გზები, უნდა გაინტერესებდეს სტაბილურობა; აქ კი საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისგან განსხვავებული მესიჯი მაქვს – თუ სტაბილურობა გაინტერესებს, უნდა გაინტერესებდეს დემოკრატიაც, რადგან თუ არ არის კონსოლიდირებული დემოკრატია, არც სტაბილურობა იქნება. ასეთ შემთხვევაში კი, გაზის ერთი გზა წამოვა არასტაბილური რუსეთიდან, მეორე - არასტაბილური კავკასიური რეგიონიდან და მესამე – უფრო არასტაბილური ირანიდან. რადგანაც საქართველოში დაწყებულია პროცესები, რომელიც არც ირანში შეინიშნება და არც რუსეთში, ევროპას აქ დიდი შანსი აქვს, რადგან ეს არის პატარა რეგიონი, საქართველო კიდევ უფრო პატარაა და დემოკრატიის დამყარება ბევრად უფრო ადვილია. იმიტომაც არის უფრო ადვილი, რომ ამ ქვეყანას აქვს ტრადიციები, კულტურა და ჰყავს საზოგადოება, რომელიც ამისთვის მზად არის.

**- ბრძანეთ, რომ კონფერენციაზე ევროპული პოლიტიკის ახალ ფორმებზე იყო საუბარი. რა სიახლეებია ეს, რა იყო თქვენთვის უცხო და ჩვენთვის საინტერესო?**

- კონფერენციაზე სწორედ ამ ფორმების ძიებაზე იყო საუბარი. რატომ არის შესაძლებელი დღევანდელ მსოფლიოში, რომ, ვთქვათ, ევროპაში დაბადებული ქართველი საქართველოში მინისტრი გახდა და ეს ყველასთვის მისაღებია?! როგორ შეიძლება, რომ ფინელი დარჩეს ფინელად და საფრანგეთში აირჩეს დეპუტატად?! პასუხს ვეძებდით კითხვაზე - როგორ მსოფლიოში ვცხოვრობთ?

**- თქვენთვის ეს, ალბათ, ახლობელი თემაა. თქვენდამი წაყენებული ერთ-ერთი ბრალდება ისიც იყო, რომ ბოლომდე ვერ ჩაწვდით ქართულ სინამდვილეს...**

- მართალია, რომ ამ ევროპულობით შეიძლება უცხო ვარ გარკვეული წრეებისთვის და რაც ზემოთ ავდივართ, უფრო მეტად უცხოც, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ეს არ არის უცხო ქართული საზოგადოებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი მხარდაჭერა არ მექნებოდა. ყველაზე ძალიან რამაც მომხიბლა, 6 კვირიანი არყოფნის მიუხედავად, არ დამივიწყეს. ეს იმას ნიშნავს, რომ რაც იპოდრომზე და საერთოდ იმ დღეებში მოხდა, ერთჯერადი არ ყოფილა და ბევრად უფრო სერიოზული იყო. ჩემი ანალიზით კი, სერიოზული იმიტომ, რომ საზოგადოებაში ზოგადად ევროპულობის მოთხოვნაა. საკუთარ თავზე არ ვსაუბრობ, რადგან ბევრი არ მიცნობს და, ბოლოს და ბოლოს, ჩემს აზრებსაც არ იცნობენ, რასაც მალე გაიცნობენ. ჩემი მხარდაჭერით პრინციპულად ნათქვამია, რომ გვინდა ევროპულობა, დემოკრატიულობა და არ გვინდა, რომ ადამიანი, რომელიც სიმბოლურად დაკავშირებულია ამასთან, თამაშიდან გავიდეს. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვკითხულობ...

**- ევროპაში მოგზაურობამ რა იმპულსები მოგცათ და რა ახალ ნაბიჯებს შემოგვთავაზებს თქვენი მოძრაობა?**

- ევროპიდან ჩემი პროგრამით ჩამოვედი. რადგან აქედან არა ემოციური, არამედ სერიოზული მიდგომაა, პასუხიც სერიოზული უნდა იყოს. ხალხმა უნდა გაიგოს, რა მინდა. ეს კარგია, როცა ამბობენ, რომ ვარ ევროპელი, სიმპათიური, არაკორუმპირებული... მე ვიცი, რა არის ის ელემენტები, რისგანაც ჩემი პოპულარობა შედგება, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს საკმარისი არ არის და ახლა ჩემი პასუხის ჯერია.

**- სიახლეებზე ახლა არ ილაპარაკებთ?**

- ამ კვირის ბოლოს პროგრამის პრეზენტაცია შედგება. ეს იქნება ახალი გლობალური ხედვა, თუ საით და როგორ უნდა წავიდეს საქართველო, ამიტომ, ერთი რომელიმე ელემენტის გამოყოფა ახლა საინტერესო არ იქნება.

**- ხელისუფლებების წარმომადგენლებს არ შეხვედრიხართ?**

- საფრანგეთში ბევრს შევხვდი. ასევე ბელგიაში შევხვდი სოლანას და ევროკომისიის საგარეო ურთიერთობების დირექტორს. საფრანგეთში შემხვდნენ პირადად მე და არა როგორც ყოფილ ან მომავალ პოლიტიკოსს.

**- ევროპაში როგორ აღგიქვეს - როგორც ყოფილი მინისტრი თუ მომავალი პოლიტიკური მოღვაწე?**

- როგორც მომავალი მოღვაწე, რადგან იქ როგორც ყოფილი - საინტერესო არ ხარ. უნდა ვთქვა, რომ ყველამ მოიწონა, რასაც ვაკეთებ. ველოდი, რომ მეტყოდნენ, დაბრუნდი, რაღა გინდა საქართველოშიო... პირიქით მოხდა - პირველი, რასაც მეუბნებოდნენ, ახლა თქვენს ქვეყანას ამ ტიპის გადაწყვეტილებები სჭირდებაო. ამან მომავლისთვის დიდი იმედი და სტიმული მომცა.

გარდა ამისა, სხვადასხვა ფორმით მთელი რიგი მხარდაჭერა იყო. მაგალითად, ფრანსუაზ დე პანაფიუმ, ქალბატონმა, რომელიც პარიზის მერობის რეალური კანდიდატია, მითხრა, ყველანაირად დაგეხმარებიო. თუ საჭირო გახდა, ამ ზაფხულს ჩამოვალო. ადგილობრივი არჩევნების წესებსა და პროგრამას გამოგიგზავნით, თუ იქიდან რაიმე თქვენთვის საინტერესო და გამოსაყენებელი იქნებაო.

პარტიების წარმომადგენლებს, მხარდაჭერის ფორმების მოძებნისთვის, საქართველოში დემოკრატიის დონე უფრო აინტერესებდათ. ფონდებიდან კი სოციალურ თუ ეკონომიკურ სფეროში კონკრეტულ პროექტებს ითხოვენ.

ძალიან ბევრი ხალხი ვნახე მიკროკრედიტების საკითხზე, რომელიც იქ ახლა მოდურია და ჩვენთვისაც ძალიან საინტერესოა. ეს საშუალებას იძლევა, არაგრძელვადიანად, არამედ ერთი-ორი წლით მისცეს იმპულსი ვითარებას, რომელიც დღეს ძალიან საჭიროა.

ძალიან მოდურია აგრეთვე ქალების მოსვლა პოლიტიკაში. ქალები დღეს ძალინ საინტერესოდ და განსხვავებულად მოდიან. არა ისე, როგორც ადრე - მარგარეთ თეტჩერის ტიპის ქალები. 10 წლის წინ ქალები პოლიტიკაში მოდიოდნენ კაცურად, იყვნენ მკაცრი პოლიტიკოსები, რომლებიც მამაკაცი პოლიტიკოსებისგან ოდნავ განსხვავებული მეთოდებით მოქმედებდნენ. დღევანდელი ქალები - გერმანელი მერკელი თუ სამხრეთ ამერიკელი დაშლე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქალური პრინციპებით მოდიან.

**- დააკონკრეტეთ, თუ შეიძლება, რას ნიშნავს ეს ქალური პრინციპები...**

- ნაკლები ინტრიგები, მართალი სიტყვა, ნაკლები ტყუილები. პოლიტიკაში ყველა მეთოდით და ყველაფერზე არ მივდივართ, ამისთვის მზად არ ვართ. შეიძლება, ეს პოლიტიკის საწყისია, მიდგომაც იდეალისტურია და როცა სათავეში მოვლენ და რეალური პოლიტიკის კეთებას დაიწყებენ, შეიძლება აზრი შეიცვალონ. პოლიტიკაში დღეს მოსული ქალები სხვა ტიპისა და ფილოსოფიის არიან.

**- ახალი ევროპული პოლიტიკა შეხედულებების ასეთ ცვლილებებს მიიღებს?**

- ამას არჩევნების დროს ვნახავთ. უკვე არჩეული მერკელის პირველი ნაბიჯები კი ამ მიმართულებით მიდის - მან რუსეთსაც უთხრა სათქმელი, ამერიკასაც და ორივეს ძალიან რბილად, არაკონფრონტაციულად. სტილში განსხვავებები იგრძნობა.

**- სალომე ქართველის ფსევდონიმით 90-იან წლებში გაზეთ "მამულში" საფრანგეთიდან გამოგზავნილ თქვენს წერილზე ბევრს დარჩა აზრი, რომ ის მამაკაცის დაწერილია. თქვენ ფიქრობთ, რომ გაქვთ ახალი თაობის ქალი პოლიტიკოსის თვისებები?**

- არ ვიცი. იმ წერილში არსებულ ყველა სიტყვას დღესაც მოვაწერდი ხელს. ასე რომ, ამ მხრივ ცვლილებას ვერ ვგრძნობ. შეიძლება ვარ ნაკლებად კონფრონტაციული, ჩემი და მოძრაობის არჩევანიც უფრო იმისკენ არის მიდრეკილი, რომ იყოს უფრო საზოგადოებრივი და ნაკლებ კონფრონტაციული, ვიდრე პოლიტიკური პარტიაა. თუმცა, არ ნიშნავს, რომ ეს არ გადაიზრდება პოლიტიკურ პარტიაში. უბრალოდ, შეიძლება, ეს აუცილებელი გახდეს. ინსტინქტურად და ბუნებით თავს ასე უფრო კარგად ვგრძნობ.

**- როგორ გადაიტანეს ევროპაში მოულოდნელი ენერგეტიკული ცვლილებები? რამდენად სერიოზული დარტყმა იყო ეს ევროპისთვის?**

- იქ ასე ტრაგიკულად არ მიუღიათ, რადგან მათ ისე ტრაგიკულად არ შეეხო, როგორც აქ. მოსახლეობას კი საერთოდ არ უგრძვნია - თეორიულად კი იცოდნენ, რომ ნაკლები გაზი მოდის, მაგრამ რადგანაც იქ საცავიც არსებობს, მარაგიც და სხვა ალტერნატიული ენერგიებიც, უშუალოდ არავის შეეხო. მაგრამ, კონკრეტულად მიხვდნენ, რას ნიშნავს ფაქტი, რომ რუსეთი არის ევროპაში მთავარი მონოპოლისტი და მომწოდებელი. ახლა მიმდინარეობს ალტერნატივების ძებნა. ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთს ხვალიდან ეტყვიან უარს, მაგრამ ეს შეგნება ჩაჯდა თავში და მიხვდნენ, რომ ფიქრის დრო დადგა.

საინტერესოა, რომ ეს არა მხოლოდ თითოეული ქვეყნის დონეზე, არამედ მთლიანად ევროპისთვის არის მთავარი ამოცანა. სოლანასთან შეხვედრამდე ერთი დღით ადრე საუბარი ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რა უნდა იყოს ევროპის ენერგეტიკული სტრატეგია. როცა ევროპარლამენტში მოხსენებით გამოვდიოდი, იმ დროს პარლამენტარებს სასწრაფო შეკრება ჰქონდათ გაზის საკითხზე. ეს ნიშნავს, რომ ევროპა ძალიან აქტიურად ჩაერთო ამაში.

ევროპელებს კარგად ვიცნობ და დარწმუნებული ვარ, რომ ცოტა ხანში ეს გაივლის და დღევანდელი ენთუზიაზმი ცოტათი შენელდება, მაგრამ ძირითადი ამოცანა დარჩება – აუცილებელია, არ იყვნენ დამოკიდებული ერთ გზაზე. ეს ჩვენთვის უზარმაზარი შანსია და ამის ხელიდან გაშვება კრიმინალია.

**- შეიძლება თქვათ, რომ საქართველო მსოფლიოსთვის კიდევ ერთხელ აღმოჩნდა რუსეთის აგრესიის ნათელი მაგალითი?**

- მაგალითი უფრო უკრაინა იყო, ვიდრე საქართველო. უკრაინას საზღვრებიდან უფრო ახლოს გრძნობენ და გარდა ამისა, პირველი კრიზისი უკრაინაში იყო. იქ აშკარა იყო, რომ რუსეთი პოლიტიკურად მოქმედებდა. ჩვენთან კი გაუგებარი იყო, საიდან მოდიოდა დაძაბულობა – რუსეთისგან, ქართული რეაქციებისგან, მართლა იყო აფეთქება, ვინ ააფეთქა და ა.შ. ორივე ამ მაგალითმა როლი ერთი მიმართულებით ითამაშა – არსებობს ენერგეტიკული პრობლემა და არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული მხოლოდ რუსეთზე.

**- ეს ენერგოდაპირისპირება გამოდგება თუ არა იმისთვის, რომ ევროპამ გადახედოს რუსეთთან თავის თბილ ურთიერთობებს?**

- რუსეთ-ევროპული ურთიერთობები არც ისე თბილია. ეს ურთიერთობები პერსონალურ დონეზეა თბილი - შრიოდერისა პუტინთან, შირაკისა პუტინთან და ბერლუსკონისა - პუტინთან. ეს არ ნიშნავს ქვეყნებისა და საერთოდ ევროპის თბილ დამოკიდებულებას რუსეთისადმი. პრინციპში, ყველაზე დიდი ნაკლია (და მოხსენებაში ესეც აღვნიშნე), რომ არ არსებობს ევროპის პოლიტიკა. მე ვიყავი როგორც გარედან მისული ექსპერტი და არა როგორც ევროპელი და ვლაპარაკობდი, როგორც ქართველი – ევროპის ყველაზე დიდ სისუსტედ მიმაჩნია პოლიტიკის არქონა და სტრატეგიის მოუფიქრებლობა. სიტუაცია მიშვებულია ისე, როგორც რუსეთს აქვს მიშვებული – ხან იქით არის და ხან აქეთ. ევროპას მაინცდამაინც არ მოსწონს, რაც რუსეთში ხდება – არასამთავრობო ორგანიზაციების შევიწროვება, მედიაზე ზეწოლა. ამავე დროს კი გაზს იქიდან იღებს. როგორ მოათავსოს ეს ყველაფერი ერთ პოლიტიკაში ევროპამ, არც იცის და მაინცდამაინც არც ზრუნავს ამაზე.

ჩემი მესიჯი კი ასეთი იყო – ვერ ჩამოაყალიბებთ რუსეთის პოლიტიკას, თუ არ გექნებათ გარკვეული პოლიტიკა ჩვენ მიმართ და იმ ზონის მიმართ, რომელიც ევროპასა და რუსეთს შორის არის.

**- შინაურ ამბებზე გადავიდეთ - როგორ შეაფასებდით ხელისუფლების იმ ნაბიჯებს და განცხადებებს, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ ენერგოკრიზისის დროს გააკეთა?**

- ერთი ტენდენცია შევნიშნე და არა მხოლოდ პრეზიდენტის ბოლო განცხადებებში – ტენდენცია, პოლიტიკის მაგივრად იყოს განცხადებები. ეს ჯერ კიდევ საგარეო საქმეთა მინისტრობისას დავინახე. ხშირად მეუბნებოდნენ – აბა, სად არის განცხადებები? განცხადება და... რა? პოლიტიკა თუ განცხადებით იწყება და მთავრდება, ეს პოლიტიკა არ არის... ასეთ მწვავე დროს არ შეიძლება, პოლიტიკა განცხადებებით შემოიფარგლოს. მე, რიგით მოქალაქეს, არა მხოლოდ პრეზიდენტისა და მთავრობის განცხადებები მაინტერესებს, არამედ - რაზეა დაფუძნებული პოლიტიკა, რა არჩევანი გაკეთდა ან კეთდება, რას ნიშნავს ჩემთვის ეს სამომავლოდ. მხოლოდ ამის შემდეგ გადავწყვეტ, დავეთანხმები ამას თუ - არა. თქვენ მთხოვთ კომენტარს იმაზე, რაც არ ვიცი. არ ვიცი, რა სტრატეგია აქვს დღეს საქართველოს, რა გვინდა...

ეს განცხადებები დიპლომატიურ ენაზე რუსეთთან ომის გამოცხადებას ნიშნავს. მივდივართ ამ ომზე? მე ვიცი დიპლომატიური ენა და როცა ამ ტერმინებს პრეზიდენტის დონეზე იყენებენ, ან საელჩოს გაზს უთიშავენ – ეს ომის განცხადებაა. არალოგიკური იქნება, რომ ამას ელჩის გაწვევა არ მოჰყვეს.

როდესაც პრეზიდენტი უმწვავეს განცხადებებს აკეთებს, ამ დროს პრემიერ-მინისტრი ამბობს, რომ გაზსადენის რუსეთისთვის მიყიდვისთვის "გაზპრომისგან" 2 თვე გვაქვს მოცემული... ესეც ალოგიკურია... ჯერ უნდა გაირკვეს, საით მივდივართ და საზოგადოებამ მერე უნდა შეაფასოს, სურს თუ არა მას ეს ნაბიჯი. დღეს მართლა არ ვიცი, რა არჩევანი მაქვს, ამიტომ, კომენტარს ვერ გავაკეთებ. და თუ მე ამას, როგორც პროფესიონალი დიპლომატი, დიპლომატიურ ენაზე ვკითხულობ, ამას საზღვარგარეთ სხვებიც კითხულობენ...

**- საქართველოში სამ პოზიციაზე იყავით – სხვა ქვეყნის ელჩი, ამ ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენელი და ახლა ოპოზიციონერი. ამდენჯერვე შეიცვალა თქვენი წარმოდგენები ამ ქვეყნის ხელისუფლებაზე?**

- ელჩად იმ დროს ჩამოვედი, როდესაც შევარდნაძის ხელისუფლების ნგრევა დაიწყო, რასაც დიდი სიამოვნებით დავესწარი. ამიტომაც ადვილად დავთანხმდი შემოთავაზებას საგარეო საქმეთა მინისტრობის პოსტზე, რადგან მიმაჩნდა, რომ ამ ტიპის ხელისუფლებაში სათანამშრომლოდ მზად ვიყავი. მიმაჩნდა, რომ ეს იყო საქართველოსთვის აუცილებელი მიმართულება. მაგრამ, მერე ჯერ ნელ-ნელა და შემდეგ სულ უფრო სწრაფად, იმ კურსიდან გადახვევა შევნიშნე, რომელიც 2003 წელის ნოემბერში ავირჩიეთ – დემოკრატიისა და თანამედროვე ევროპული სახელმწიფოს მშენებლობის კურსი. ეს გზა ბოლომდე ჯერ არ დანგრეულა, მაგრამ ამ გზისკენ მიმავალი პროცესები ძლიერ შენელდა. დემოკრატია კი, თუ წინ არ მიდის, ე.ი. უკან იხევს, მას ერთ ადგილზე ვერ გააჩერებ.

ზოგი ძალიან ცუდი ტენდენცია ჩანს. მაგალითად, როდესაც უმრავლესობა ამბობს, რომ უმრავლესობაა და მხოლოდ მან იცის, რა უნდა გააკეთოს, ეს დემოკრატია კი არა, შევარდნაძის და უფრო ადრინდელ სიტყვებს მაგონებს.

სხვა მაგალითი: საქართველოს პარიზის საელჩოდან, სადაც, თურმე, მე ნათესავებს ვნიშნავდი, ელჩი სტაჟიორ სტუდენტს მხოლოდ იმის გამო აგდებს, რომ ის ჩემს ორგანიზაციაში "ევროპული ინიციატივა საქართველოსთვის" მუშაობს და ინტერესთა კონფლიქტს ხედავს. სრული პასუხისმგებლობით, როგორც ელჩის ამ თანამდებობაზე დამნიშვნელი მინისტრი, ვაცხადებ, რომ ნათია ჯაფარიძემ არ იცის, რა არის დემოკრატია და არ უნდა იყოს საქართველოს ელჩი.

კიდევ გეტყვით ერთ მაგალითს: ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის არსად და არც ერთ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ თემაზე არ მიმდინარეობს დიალოგი. აქ დემოკრატია იწყება იმით, როცა ხელისუფლება გეუბნება რას აკეთებს და მერე მთავრდება გაზის ომით... ამ ყველაფერში მოსახლეობა მხოლოდ პასიური ნაწილი კი არ არის, რომელმაც ერთხელ მოგცა მანდატი და მერე ივიწყებ, რომელსაც აქებ, რომ მოითმინა კრიზისები... მოსახლეობა იმისთვის არ არის, რომ მხოლოდ მოითმინოს, მხოლოდ მოისმინოს და მხოლოდ ტაში დაგიკრას. თუ დემოკრატიაში ვცხოვრობთ, უნდა იყოს დიალოგი, კრიტიკა, რომელიც უნდა მიიღო, როცა ეს საჭიროა.

ეს ვითარება დიდ გაურკვევლობას ქმნის უცხოეთშიც. მთავარი კითხვა, რაც მათ დასვეს, ასე ჟღერს – რა ადგილზეა გაჩხერილი თქვენი სხვადასხვა ფერის რევოლუციებიო... (იგულისხმება ვარდების და ნარინჯისფერი რევოლუციები).

**- როგორც ჩანს, ახალი ფრონტით აპირებთ მოძრაობის გაშლას. რას ელით ხელისუფლებისგან?**

- დემოკრატიულობას კი ველი, მაგრამ პარლამენტში შეტანილია კანონი, რომელსაც ერთადერთი მიზანი აქვს - მე ვერ მივიღო მონაწილეობა ადგილობრივ არჩევნებში, ეს არადემოკრატიულობის სიმბოლოა და ის ერთნაირად იკითხება აქაც და უცხოეთშიც.

ოპოზიციის არმიღება არადემოკრატიულობაა. თვლიან, რომ შეიძლება გავხდე უფრო ძლიერი ოპოზიცია, ვიდრე არსებული. კიდევ უარესი, რაც ამაში დევს და რაც, იმედი მაქვს, არც უფიქრიათ – ამ კანონპროექტით უარს ვეუბნებით იმ 1 მილიონ ქართველს, რომელიც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში წავიდა ქვეყნიდან. ვეუბნებით, არ დაბრუნდეთ თქვენს ქვეყანაში, რადგან თქვენთვის აქ ადგილი არ არის, არავის ჭირდება თქვენი გამოცდილება და კარგად იყავით, სადაც ხართო... ეს 1 მილიონი მიყურებს, როგორც ავანგარდს და ზომავენ, შეიძლება თუ არა დაბრუნება საქართველოში. უამრავმა ადამიანმა მითხრა, რომ ჯერ თავს იკავებს დაბრუნებისგან.

**- როდესაც ახალი მოძრაობა ყალიბდება, ყოველთვის არის მასთან მედროვე ადამიანების მიტმასნების დიდი რისკი. ეს თქვენს შემთხვევაშიც მოხდა, რადგან ბევრი რეპუტაციაშელახული ადამიანი გედგათ გვერდით. შეიმუშავეთ თქვენი და თქვენი მოძრაობის ამგვარი რისკისგან დაცვის მექანიზმები?**

- მე ყველაზე ნაკლებად მაქვს ასეთი მექანიზმები და, ალბათ, იმიტომაც, რომ აქ გაზრდილი არ ვარ და არ მაქვს ადამიანის ამორჩევის შესაბამისი კრიტერიუმები. ასე რომ, შეცდომები იქნება, მაგრამ მაქვს ერთადერთი კრიტერიუმი – "საქმე შენი გამოგაჩენს შენ"... და ასეც მოხდა, რამდენიმემ უკვე "გამოიჩინა" თავი. პირადად, საქმით უნდა დავრწმუნდე. საქართველო თქვენ უკეთ იცით და ისიც გეცოდინებათ, რომ ყველა მომსვლელს აქვს იმ 10 კაცის სია, რომლის მიღებაც მოძრაობაში არ შეიძლება. ამას რომ დავუჯერო, მოძრაობაში მხოლოდ მე და ჯანრი დავრჩებით.

**- თქვენი აქ არყოფნისას იმ ქვეყნების სია, რომლის აგენტობასაც გწამებენ, ერთით გაიზარდა...**

- ირანის, არა? პარიზში დავამთავრე წიგნი, რომელშიც ასახულია გზა ჩემი წინაპრებისა, ჩემი კარიერისა და ცხოვრების ყველა ის ელემენტი, რომელიც საქართველოში ჩემი ჩამოსვლის, დარჩენის და პოლიტიკური ვალის მოხდის შესაძლებლობას ქმნის. თუ თარგმანი მოესწრო, მინდა, რომ წიგნი აქაც და იქაც ერთდროულად გამოვიდეს. ვინც წაიკითხავს, ყველა გაიგებს, რომ "ვარ" ევროპის აგენტიც, ამერიკისაც, სადაც 8 წელი ვიცხოვრე, რუსეთის აგენტიც ვარ და ირანისაც, რადგან ჩემი პირველი ქმარი და შვილების მამა არის ირანში ქართული დიასპორის წარმომადგენელი. იქ დაიბადა და 15 წლისა იყო, როდესაც იქიდან წამოვიდა. სხვათა შორის, მათი გვარი გორჯისტანია, რაც ჩვენს ენაზე ქართველს ნიშნავს.



ჩემი ინტერესი იყო, მიხვედრილიყვნენ, რომ ევროპის მომავალი, სტაბილურობა და ეკონომიკური განვითარება ყველანაირად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოხდება ჩვენს რეგიონში.



რაც იპოდრომზე და საერთოდ იმ დღეებში მოხდა, ეს ერთჯერადი არ ყოფილა და ბევრად უფრო სერიოზული იყო. ჩემი ანალიზით კი, სერიოზული იმიტომ, რომ საზოგადოებაში ზოგადად ევროპულობის მოთხოვნაა. ჩემი მხარდაჭერით პრინციპულად ნათქვამია, რომ გვინდა ევროპულობა, დემოკრატიულობა და არ გვინდა, რომ ადამიანი, რომელიც სიმბოლურად დაკავშირებულია ამასთან, თამაშიდან გავიდეს.



ფრანსუაზ დე პანაფიუსთან ერთად.

ევროპა ვერ ჩამოაყალიბებს რუსეთის პოლიტიკას, თუ არ ექნება გარკვეული პოლიტიკა ჩვენ მიმართ და იმ ზონის მიმართ, რომელიც ევროპასა და რუსეთს შორის არის.

www.liberty.ge

# თავისუფლება

N14

30 იანვარი, ორშაბათი

„თავისუფლების ინსტიტუტის" საგაზეთო ჩანართი

თამუნა ტაბატაძე

# როგორ შევადგინოთ სკოლის ბიუჯეტი

საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის თანახმად, სკოლის მართვა, მისი სტრატეგიული განვითარების მიმართულებათა განსაზღვრა და ბიუჯეტის დაგეგმვა მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისაგან შემდგარმა ჯგუფმა უნდა განახორციელოს სამეურვეო საბჭოსთან (იმ შემთხვევაში, თუ არჩეულია) და დირექტორთან თანამშრომლობით. ბიუჯეტის შედგენა სკოლის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა და ამ პროცესში ის მხარეები უნდა ჩაერთონ, რომლებიც უშუალოდ არიან დაინტერესებული სკოლის მომსახურების ხარისხითა და ამ მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების მიზანშეწონილობით, ანუ მშობლები, მასწავლებლები და მოსწავლეები. ასეთი ფართო წარმომადგენლობით ბიუჯეტის განხილვას მონაწილეობითი ბიუჯეტირება ეწოდება. თავისუფლების ინსტიტუტი ამ წელს საქართველოს 70 საშუალო სკოლაში განახორციელებს მონაწილეობით ბიუჯეტირებას, ხოლო მას შემდეგ, რაც გარკვეული გამოცდილება დაგროვდება პროცესის წარმოებისთვის, მონაწილეობითი ბიუჯეტირება ყველა სკოლაში გახდება ფინანსურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების წესი.

სტატიაში მიმოვიხილავთ ბიუჯეტირების სხვადასხვა სტადიებს, როგორიცაა: არსებული შემოსავლების ანალიზი, ახალი პრიორიტეტების დადგენა და ბიუჯეტის სრული ვარიანტის შემუშავება. ასევე მოკლედ წარმოგიდგენთ საბიუჯეტო მოსმენების ჩატარების ტექნიკას.

## ბიუჯეტის შემოსავლის წყაროები

სკოლის დაფინანსების წყარო იქნება ის შემოსავალი, რომელსაც სკოლა მიიღებს სახელმწიფოსგან, შემოწირულობებიდან ან სხვადასხვა მოზიდული ფონდებიდან. დღეისათვის სკოლის შემოსავლების სტრუქტურა ასეთია:

სკოლის სტაბილურ შემოსავლებს მიეკუთვნება სახელმწიფო სახსრები, რომლებიც ბიუჯეტიდან ჩაირიცხება სკოლის ანგარიშზე ბანკში და სკოლის სხვა შემოსავლებთან ერთად სკოლის ადმინისტრაციის, მშობლებისა და მასწავლებლების გადაწყვეტილების საფუძველზე დაიხარჯება.

ასევე, ახალი კანონმდებლობით, სკოლა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, პასუხისმგებელია, თავად განკარგოს ყველა ის შემოსავალი, რომელსაც თავისი ფართის და ტერიტორიის გაქირავებით ან რაიმე სხვა საქმიანობით მიიღებს.

სკოლის ფონდი შედგება მშობლების ნებაყოფლობითი შემოწირულობებით მიღებული ფულადი სახსრებისგან, რომლებიც სასიცოცხლოდ აუცილებელია სკოლის ფუნქციონირებისთვის ან სპეციალური პროგრამების დასაფინანსებლად.

შემოწირულობები არის მშობლების, ბიზნესმენების, ორგანიზაციების ან სკოლის კეთილდღეობით დაინტერესებული პირების/ორგანიზაციების ნებაყოფლობითი შენატანი სკოლის ანგარიშზე. შემოწირულობებს ქველმოქმედების სახე აქვს. შესაძლებელია, რომ რომელიმე ფირმამ ან ორგანიზაციამ საკუთარი საქმიანობის რეკლამირების მიზნით დააფინანსოს სკოლის ესა თუ ის პროგრამა.

მოზიდული ფონდები დონორი ორგანიზაციებისგან მიღებული სახსრებია, რომელიც მიზანმიმართულად გამოიყოფა სპეციალური პროგრამების დასაფინანსებლად და განსახორციელებლად.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ როგორც შემოწირულობების, ისე მოზიდული ფონდების განკარგვისას აუცილებელია ხარჯების გამჭვირვალობა და ანგარიშგების მექანიზმების დამკვიდრება.

## ვინ და როგორ მონაწილეობს ბიუჯეტირების პროცესში?

ბიუჯეტირების პროცესში ჩართულია სკოლის მომსახურებით მოსარგებლე მოქალაქეთა უდიდესი უმრავლესობა; დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციები; ის დონორები, რომლებიც სკოლისათვის გარკვეულ ფინანსურ სახსრებს გამოყოფენ. ბიუჯეტის შემუშავებაში სკოლის საქმიანობაში ჩართული თითქმის ყველა პირი უნდა მონაწილეობდეს. უპირველეს ყოვლისა, ამ პროცესში ჩართულნი უნდა იყვნენ სკოლის დირექტორი, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში ყველა მონაწილეს საკუთარი ფუნქცია აქვს:

დირექტორი ორგანიზატორის ფუნქციას ასრულებს. ადგენს დროს და ადგილს საბიუჯეტო მოსმენების ჩასატარებლად და ამ ინფორმაციას მაქსიმალურად ხელმისაწვდომს ხდის ყველა დაინტერესებული პირისთვის (გამოაკრავს სკოლის დაფაზე ან სხვა საჯარო ადგილზე); დაამუშავებს მოსმენების შედეგად მიღებულ ინფორმაციას და შემდეგი მოსმენებისთვის წარუდგენს დამსწრეებს; მესამე მოსმენისთვის დაამუშავებს ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს სხდომის მონაწილეებს დასამტკიცებლად; ასევე ასრულებს სხვადასხვა საორგანიზაციო სამუშაოებს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის უზრუნველსაყოფად.

მასწავლებლები აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ ბიუჯეტირების პროცესში, რათა დაიცვან საკუთარი ინტერესები.

მოსწავლეთა მონაწილეობა უზრუნველყოფს ბიუჯეტის იმგვარად შედგენას, რაც უკეთ იქნება მის მომხმარებელზე ორიენტირებული. ამიტომ საბიუჯეტო მოსმენებში აუცილებელია მოსწავლეთა ჩართვა. ამ მხრივ მიზანშეწონილია იმ საფეხურის მოსწავლეთა მოწვევა, რომელთაც უფლება აქვთ, არჩეული იყვნენ მოსწავლეთა თვითმმართველობაში.

მშობელთა მონაწილეობა ასევე სავალდებულოა საბიუჯეტო განხილვებში. როგორც წესი, ასეთი განხილვების დროს მშობელს ერთი ხმა აქვს და იმ შემთხვევაშიც, თუ განხილვებში მოსწავლის ორივე მშობელი მონაწილობს, კენჭისყრისას მათ ერთი ხმა აქვთ. მშობლების მონაწილეობა უზრუნველყოფს პროცესის გაფართოებასა და სკოლის ადმინისტრაციის ანგარიშვალდებულების ზრდას.

## ბიუჯეტის დაგეგმვა, მისი შედგენის ფაზები

მონაწილეობითი ბიუჯეტირების უნარ-ჩვევების ასათვისებლად, პირველ ყოვლისა, საჭიროა გავერკვეთ ბიუჯეტის შედგენისა და დაგეგმვის საკითხებში.

სკოლის ბიუჯეტი, ისევე, როგორც ნებისმიერი ბიუჯეტი, არის ფინანსური დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს მოცემული ორგანიზაციის შემოსავლებისა და დანახარჯების ნუსხას. მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლებისგან შემდგარმა ჯგუფმა თებერვლიდან უნდა დაიწყოს მუშაობა სკოლის პრიორიტეტების განსაზღვრაზე, ბიუჯეტის დაგეგმვასა და შედგენაზე. სამუშაოს ეს ნაწილი თებერვლიდან აპრილამდე უნდა შესრულდეს. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის განსასაზღვრად ჯგუფმა უნდა იხელმძღვანელოს ბუღალტერიის მიერ წარდგენილი წინა წლის ხარჯებით, მაგრამ, ამავე დროს, გაითვალისწინოს მიმდინარე ცვლილებები (ცალკეულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე ფასების ცვალებადობა). ამ პერიოდისთვის სკოლას უკვე ნათელი წარმოდგენა ექნება მომავალი წლის კონკრეტული შემოსავლების შესახებ და შესაძლებელი იქნება ბიუჯეტის დაბალანსება, ანუ შემოსავლების ჯამისა და ხარჯების ჯამის გათანაბრება.

ბიუჯეტირება სამ ძირითადად ფაზას მოიცავს:

- სკოლის პრიორიტეტების განსაზღვრა;
- თანხების გადანაწილება პრიორიტეტების მიხედვით;
- ბიუჯეტის მიღება კენჭისყრით.

**I** ფაზა – ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრა

სკოლის ბიუჯეტირებაში ჩართულმა პირებმა, ანუ მასწავლებლებმა და მშობლებმა, პირველი შეხვედრა სკოლის განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრას უნდა დაუთმონ.

პრიორიტეტების განსაზღვრის პროცედურა შემდეგ სტადიებს მოიცავს:

1. შეხვედრის ორგანიზება.
2. პრიორიტეტების შერჩევა.

პირველი ცდის შემდეგ, მოსალოდნელია პრიორიტეტების ვრცელი სიის მიღება. ამ სიიდან 6-8 პრიორიტეტული საკითხი უნდა გამოიყოს. სწორედ მათი ერთობლიობა განსაზღვრავს ჩარჩო სტრატეგიას, გრძელვადიან მიზნებს და ამოცანებს. ჯგუფმა თითოეული მათგანის აქტუალობა უნდა შეაფასოს; წლის პრიორიტეტების შერჩევისას თითოეულ მათგანზე შემდეგნაირად უნდა ვიმსჯელოთ:

- რა არის პრობლემის არსი?
- რა შეიძლება მოჰყვეს ამ პრობლემის გაუთვალისწინებლობას უახლოეს მომავალში?
- რატომ სჭირდება პრობლემას სასწრაფო ყურადღება?
- რატომ უნდა გახდეს ამ საკითხის გადაწყვეტა პრიორიტეტული?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა საშუალებას მისცემს ჯგუფს, პრიორიტეტების ნუსხაში მხოლოდ 6-8 საკითხი დატოვოს. უფრო მეტი პრიორიტეტის შერჩევა სკოლას ყურადღების მობილიზების პრობლემას შეუქმნის, რაც შეაფერხებს დასახული მიზნების მიღწევას.

**II** ფაზა – თანხების განაწილება პრიორიტეტების მიხედვით

მას შემდეგ, რაც პრიორიტეტები განისაზღვრება, სკოლის დირექტორმა უნდა დანიშნოს მომდევნო შეხვედრა, რომელიც ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვას, პრიორიტეტების მიხედვით თანხების განაწილებას დაეთმობა. სკოლის ბიუჯეტირება, როგორც წესი, ხდება როგორც საშუალოვადიანი, ისე ერთწლიანი პერიოდისთვის. ბიუჯეტის შემუშავებისას ნათლად უნდა იყოს გამოკვეთილი შემოსავლების წყარო და ხარჯების მიზნობრიობა. პრიორიტეტული ხარჯების დაფინანსების წყარო იქნება ის შემოსავალი, რომელსაც სკოლა მიიღებს სახელმწიფოსგან, შემოწირულობებიდან ან სხვადასხვა ფონდებიდან სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის მოზიდული სახსრებით.

სკოლის ბიუჯეტირებაში ჩართული პირები უნდა შეეცადონ, მაქსიმალურად რეალურად დაგეგმონ წლის განმავლობაში სკოლისთვის საჭირო ყველა ხარჯი. ამ პროცესში ბიუჯეტზე მომუშავე პირთა ჯგუფს ინფორმაცია სკოლის ბუღალტერმა უნდა მიაწოდოს, ასევე სკოლის მომმარაგებელმა, ანუ სამეურნეო ნაწილის თანამშრომელმა, რომელიც უშუალოდ არის დაკავებული შესყიდვებით და რომელმაც იცის შესაბამისი პროდუქციის ფასი და გამძლეობა. ასევე საჭიროა იმის ცოდნა, თუ, მაგალითად, თვეში რამდენი ცარცი სჭირდება კლასს ან წლიურად რამდენი ნათურა თუ ნავთია საჭირო. ამ ინფორმაციის მოწოდებაში ყველა უნდა იყოს ჩართული, დაწყებული სკოლის დირექტორით და დამრიგებლით, დამთავრებული დამლაგებლით.

აქვე მოცემულია ბიუჯეტში შეტანილი ხარჯების სახეობების დეტალური გაშიფვრაც. ნებისმიერი სკოლისთვის ყველა ხარჯი ტიპურია. განვიხილოთ ხარჯების დაგეგმვა ჯგუფების მიხედვით:

შრომის ანაზღაურება სკოლისთვის ყველაზე პრიორიტეტული ხარჯია. ეს არის ხელფასის, პრემიის, დანამატის, დახმარებისა და სკოლის, როგორც დამქირავებლის, მიერ გადასახდელი გადასახადების ჯამი. ამასთან, შრომის ანაზღაურება შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც ადმინისტრაციისა და მასწავლებლების შრომის ანაზღაურების ჯამი. შრომის ანაზღაურების მნიშვნელოვანი შემადგენელია სახელფასო ფონდი. ბიუჯეტზე მომუშავე მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლებისგან შემდგარმა ჯგუფმა უნდა განსაზღვროს თითოეული მასწავლებლისა თუ ადმინისტრაციის თანამშრომლის ხელფასი. მასწავლებლების ხელფასი, შესაძლოა, დამოკიდებული იყოს საათების რაოდენობაზე, კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე. დამრიგებლებს, შესაძლოა, განსხვავებული განაკვეთი ჰქონდეთ, საგანგებო დატვირთვიდან და პასუხისმგებლობიდან გამომდინარე. არსებობს ასევე მოსაზრება, რომ მასწავლებლის ანაზღაურება განისაზღვროს არა მხოლოდ საათების მიხედვით, არამედ იმ დროის მიხედვითაც, რომელსაც იგი კვალიფიკაციის ამაღლებას და თითოეული გაკვეთილისთვის მომზადებას, ანუ საკუთარ თავზე მუშაობას, უთმობს. ჯგუფი შეძლებისდაგვარად უნდა ითვალისწინებდეს მასწავლებლების სწავლების ხარისხს – ეს ინფორმაცია მშობლებისა და ბავშვების გამოკითხვით უნდა იქნეს მოპოვებული. ხელფასების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია დირექტორის აზრის გათვალისწინება, რადგან დირექტორი ახდენს მასწავლებელთა პერიოდულ და წლიურ შეფასებას, ამავე დროს, იგი სკოლის მენეჯერია. დირექტორის აზრი განსაკუთრებით გასათვალისწინებელია კვარტლურად ან სადღესასწაულოდ პრემიების განაწილებისას. წლის დასაწყისში ბიუჯეტზე მომუშავე ჯგუფს შეუძლია განსაზღვროს პრემიის ფონდი და, გარკვეულწილად, ჩამოაყალიბოს ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც უნდა განაწილდეს პრემიები. პრემიის დაანგარიშების მსგავსი მიდგომა უნდა იყოს ხელფასების დანამატისა და დახმარებების საკითხისადმიც. მათი საჭიროება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურია. რაც შეეხება სკოლის, როგორც დამქირავებლის, მიერ გადასახდელ გადასახადებს, ეს თანხა ბუღალტერმა უნდა დაიანგარიშოს მას შემდეგ, რაც ჯგუფი მას თითოეული თანამშრომლის ხელფასს და პრემიის ფონდს წარუდგენს. მივლინების თანხა განისაზღვრება, როგორც სასტუმროს, დღიური სამივლინებო განაკვეთისა და დანიშნულების ადგილამდე და უკან ტრანსპორტის ხარჯების ჯამი. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, ბუღალტერი აგებს პასუხს შესაბამისი გადასახადებისათვის საჭირო თანხის ხარჯებში გათვალისწინებაზე.

კომუნალურ ხარჯებში შევა წყლის და ელექტროენერგიის გადასახადები აგრეთვე, გათბობის ხარჯები, რომელიც, შესაძლოა, თითოეულ სკოლას ინდივიდუალურად განესაზღვროს. კომუნალური ხარჯების დაგეგმვა შედარებით ადვილია, რადგან ის დაახლოებით წინა წლის ანალოგიური იქნება.

| სკოლის შიდა კლასიფიკაციის კოდი | დასახელება | ხარჯები | შემოსავლები | | | | | სულ შემოსავლების/ხარჯების ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | დაგეგმილი ხარჯები | სახელმწიფო სახსრები | სკოლის ფართის გაქირ. მიღ. ან სხვა საქმიანობით მიღებული შემოსავალი | სკოლის ფონდის სახსრები | შემოწირულობები | მოზიდული ფონდები | |
| 010100 | შრომის ანაზღაურება | | | | | | | |
| 010101 | ხელფასი | | | | | | | |
| 010102 | პრემია | | | | | | | |
| 010103 | დანამატი და წანამატი | | | | | | | |
| 010104 | დახმარება | | | | | | | |
| 010105 | დამქირავებლისგან ანარიცხები | | | | | | | |
| 010200 | მივლინებები | | | | | | | |
| | მივლინება ქვეყნის შიგნით | | | | | | | |
| | მივლინება ქვეყნის გარეთ | | | | | | | |
| 010300 | კომუნალური ხარჯები | | | | | | | |
| 010301 | წყალი | | | | | | | |
| 010302 | ელ-ენერგია | | | | | | | |
| 010303 | გათბობა | | | | | | | |
| | დიზელის საწვავი | | | | | | | |
| | გაზი | | | | | | | |
| 010400 | საკანცელარიო ხარჯები | | | | | | | |
| 010500 | საკომუნიკაციო ხარჯები | | | | | | | |
| | ტელეფონის გადასახადი | | | | | | | |
| | ინტერნეტის გადასახადი | | | | | | | |
| 010600 | სამეურნეო ხარჯები | | | | | | | |
| 010700 | კვების ხარჯები | | | | | | | |
| 010800 | სასკოლო ინვენტარის შეძენა | | | | | | | |
| 010900 | სასკოლო თვალსაჩინოების შეძენა | | | | | | | |
| 020000 | რემონტი | | | | | | | |
| 020001 | მიმდინარე რემონტი | | | | | | | |
| 020002 | კაპიტალური რემონტი | | | | | | | |
| 030000 | შენობა-ნაგებობების შეძენის ხარჯები | | | | | | | |
| 040000 | სხვა ხარჯები | | | | | | | |
| 050000 | გაუთვალისწინებელი ხარჯები | | | | | | | |
| 060000 | სპეც. პროგრამის მომსახურება | | | | | | | |
| 070000 | სპეც. პროგრამის მომსახურება | | | | | | | |
| | **ჯამი** | | | | | | | |

საკანცელარიო ხარჯები შინაარსობრივად მოიცავს ოფისის ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯებს. ესაა ქაღალდის და ჟურნალის, ანუ საკანცელარიო საქონლის, ხარჯები. აქვე შევა ცარცის ხარჯი, რაც სკოლისთვის საკმაოდ ტიპური და მნიშვნელოვანია. საკანცელარიო ხარჯების შესახებ ინფორმაციის მთავარი მომწოდებელი სასწავლო ნაწილის გამგეები, კანცელარიის გამგე და დამრიგებლები არიან.

საკომუნიკაციო ხარჯები მოიცავს ტელეფონის გადასახადსა და ინტერნეტის მომსახურების გადასახადს. საკომუნიკაციო ხარჯების დაგეგმვაც წინა წლის ბუღალტრული მონაცემების მიხედვით შეიძლება.

სამეურნეო ხარჯებში ყველა ის ხარჯია გაერთიანებული, რომელიც სკოლის შიდა მეურნეობისთვისაა აუცილებელი; მაგალითად, საკლასო ოთახების მოწესრიგებისათვის საჭირო ხარჯები: მინა, ნათურა, ჭალი, ფარდა, ელექტროჩამრთველი, მერხის ხრახნი, ჩაქუჩი, ლურსმანი, კარის საკეტი, გასაღები და ა. შ. სასკოლო ინვენტარს მიეკუთვნება როგორც კლასის მოსაწყობი ინვენტარი და ავეჯი, ასევე სპორტული ინვენტარი, საოფისე ავეჯი და სასკოლო ტექნიკა, მაგ: კომპიუტერი, მაგნიტოფონი. სამეურნეო და სასკოლო ინვენტარის ხარჯების შესახებ ინფორმაციის დადგენაში სკოლის თითქმის ყველა თანამშრომელი უნდა მონაწილეობდეს.

სკოლის დასუფთავებისთვის საჭირო საშუალებები – ცოცხი, ნავთი, იატაკის საცხი, სარეცხი ფხვნილი, ანტისეპტიკური და სანჰიგიენის საშუალებები. ასევე, ექიმის კაბინეტის შენახვის ხარჯები – მედიკამენტები, სიცხის საზომი თერმომეტრი და ა.შ. აგრეთვე, ეზოს მოვლის ხარჯები – ნარგავები და ა.შ.

სასკოლო თვალსაჩინოების ჯგუფში გათვალისწინებულია ყველა ის ხელსაწყო, რაც სასწავლო პროცესისას გამოიყენება. მაგ.: გლობუსი, რუკა, ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემა, ქიმიის/ფიზიკის ლაბორატორიის ხელსაწყოები და მასალები. სასკოლო თვალსაჩინოების საჭიროების შესახებ ცალკეული საგნების მასწავლებლები უნდა იძლეოდნენ ინფორმაციას.

რემონტი – ამ ხარჯში გაერთიანებულია მიმდინარე და კაპიტალური რემონტი. რემონტის შემთხვევაში ცალ-ცალკე იქნება გამოსაყოფი დაქირავებული მუშახელის შრომის ანაზღაურება, საჭირო მასალების შეძენისა და ტრანსპორტირების ხარჯები. სკოლის რემონტის ხარჯებს, წინა წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, სკოლის საფინანსო-სამეურნეო სამსახურის უფროსი, მომმარაგებელი და დირექტორი უნდა განსაზღვრავდნენ.

შენობა-ნაგებობების შეძენის ხარჯებში იგულისხმება ახალი შენობის შეძენა სკოლის მიერ.

სხვა ხარჯებში შევა ის ხარჯები, რომელთა შეტანაც თითოეულ ჯგუფში ვერ მოხერხდა. ეს ძირითადი ხარჯების თანმდევი ხარჯებია და არსებითი არ არის.

გაუთვალისწინებელი ხარჯები გულისხმობს იმ ტიპის ხარჯებს, რომელთა წინასწარ გათვალისწინებაც ბიუჯეტის შედგენისას შეუძლებელია. ეს არის მოულოდნელი ხარჯები – მაგალითად, მოხდა ხანძარი ლაბორატორიაში. ბიუჯეტის შედგენის პირველ წელს, როდესაც არ არსებობს წინა წლების გამოცდილება, მიზანშეწონილია, გაუთვალისწინებელი ხარჯები საერთო ხარჯების 8-10% -ს შეადგენდეს. ხოლო შემდეგ წლებში, გამოცდილების შეძენასთან ერთად, ასეთი ხარჯების წილი, როგორც წესი, 5%-მდე მაინც მცირდება.

სპეცპროგრამების მომსახურებაში შევა ის ხარჯები, რომლებიც გარკვეული პროგრამების – კულტურული, სპორტულ-გამაჯანსაღებელი თუ სხვათა – განხორციელებისთვის იქნება საჭირო. ამ ტიპის ხარჯებისთვის სახსრების მოსაზიდად შესაძლოა სკოლამ დონორ ორგანიზაციებს ან ბიზნესმენებს მიმართოს. ასეთი ღონისძიებების მაგალითებია ბავშვების წაყვანა მუზეუმში, თეატრში, ზაფხულში ექსკურსიის მოწყობა და ა.შ. როდესაც ამ პროგრამების ხარჯები გათვლილი იქნება, ეს ფაქტორი სკოლას საჭირო თანხის მოზიდვას გაუადვილებს.

სკოლის ბიუჯეტზე მომუშავე ჯგუფს შეუძლია ხარჯების დაჯგუფების ისეთი სისტემა შექმნას, რომელიც მორგებულია სკოლის საჭიროებებზე და ხელს შეუწყობს ხარჯების დაჯგუფებას პრიორიტეტების მიხედვით. ეს პროცესი გულისხმობს ხარჯების თითოეული ჯგუფისათვის განსაკუთრებული კოდის მინიჭებას, რომელიც, ხარჯების სპეციფიკიდან გამომდინარე, მოიცავს მსგავსი კლასიფიკაციის ხარჯებს, და რომელთა კოდებშიც შეიცვლება მხოლოდ ბოლო სამი ციფრი. მაგ: ანაზღაურება – 010100, მისი გაფართოება, ანუ შემადგენელი, იქნება ზოგი ხელფასი – 010101, ხელფასის დარიცხვა – 010102, პრემია – 010103 და ა.შ. ამავე დროს, შემთხვევაში, როცა ხდება ხარჯის გაშიფვრა (მაგ.: გათბობა შედგება ორი ტიპის საწვავისგან – გაზისა და დიზელისაგან) აუცილებელი არ არის მათთვის ცალ-ცალკე კოდის მინიჭება, რადგან კოდირების მთავარი მიზანი ხარჯების დაჯგუფება და მათთვის პრიორიტეტების მინიჭებაა.

ქვემოთ წარმოდგენილია სკოლის ბიუჯეტის მოდელი. ბიუჯეტში შეტანილი ყველა ხარჯი ნებისმიერი სკოლისთვის ტიპურია:

**III** ფაზა – ბიუჯეტის მიღება კენჭისყრით

ბიუჯეტირების ბოლო ფაზას ბიუჯეტის კენჭისყრა წარმოადგენს. სკოლის დირექტორმა შეხვედრამდე განსაზღვრული პრიორიტეტების, შემოსავლებისა და ხარჯების გეგმის მიხედვით უნდა დაამუშაოს ბიუჯეტის პროექტი და სხდომის მონაწილეებს დასამტკიცებლად წარუდგინოს. შეხვედრაზე თითოეული საკითხი უნდა გაანალიზდეს და კენჭი ეყაროს. ბიუჯეტი ხმათა უმრავლესობით მტკიცდება.

## როგორ ჩავატაროთ საბიუჯეტო განხილვები

დირექტორს უწევს მრავალი შეხვედრის ორგანიზება სკოლის მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან. ასეთი შეხვედრების დროს ხდება გამოკითხვა, სტრატეგიისა და ბიუჯეტის მონახაზის წარდგენა. ამგვარი შეხვედრების ორგანიზებისას სასარგებლოა ქვემოთ ჩამოთვლილი ტექნიკური საკითხების გათვალისწინება:

მასწავლებლების, მშობლებისა და სხვა დაინტერესებულ პირთა შეხვედრებს ორგანიზებას სკოლის დირექტორი უკეთებს. შეხვედრისათვის ხელსაყრელი დრო, თარიღი და ადგილი უნდა დაინიშნოს. არ არის აუცილებელი, თუმცა სასურველია, რომ ეს სკოლაში მოხდეს. მთავარია, ადგილი ყველასთვის მისაღები და მოსახერხებელი იყოს. შეხვედრის განრიგზე წინასწარ უნდა შეთანხმდნენ. განრიგი მოიცავს შეხვედრის ადგილს და დროს, თითოეული საკითხის განხილვის დაწყებისა და დამთავრების დროს, შეხვედრის მიზნებს და განსახილველ საკითხებს.

შეხვედრის დაწყებისას აირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს. სამეურვეო საბჭოს არსებობის შემთხვევაში თავმჯდომარე იქნება სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო თუ სამეურვეო საბჭო ჯერ არ არის არჩეული, ფუნქციას ითავსებს სკოლის დირექტორი. სხდომაზე დამსწრე მშობელთაგან სხდომის მდივანი ინიშნება. სხდომის მდივანი ვალდებულია, დააფიქსიროს დამსწრეთა რაოდენობა, გამომსვლელთა ვინაობა და შემოთავაზებული წინადადებები, დათვალოს ხმები კენჭისყრის დროს და შეადგინოს სხდომის ოქმი სხდომის დამთავრებიდან ორი დღის განმავლობაში. თავმჯდომარე, მდივანი, დამსწრე მასწავლებელთა და მოსწავლეების წარმომადგენლები ხელს აწერენ ოქმს.

შეხვედრაზე მონაწილეებმა უნდა განსაზღვრონ განსახორციელებელი მოქმედებები, მათი შემსრულებელი და შესრულების ვადები, ასევე ის, თუ რა დონეზე უნდა შესრულდეს საკითხი შემდეგი შეხვედრისთვის. სკოლის ბიუჯეტირებაზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრებზე მომხსენებელი წარადგენს წინადადებას. შეხვედრის დაწყებამდე წინასწარი მონახაზი წერილობითი ფორმით ყველა მონაწილეს ურიგდება. ჯგუფი განიხილავს და განმარტავს წინადადებას. ორგანიზატორი არკვევს, მიღწეულია თუ არა კონსენსუსი. თუ არსებობს სხვა მოსაზრებები, მაშინ ისინი იმგვარად ჩამოიწერება, რომ ყველასთვის თვალსაჩინო იყოს, და გაგრძელდება მათზე მსჯელობა. ჯგუფი ცდილობს, გადაჭრას სადაო საკითხები. სადაო საკითხებზე ორგანიზატორმა შეიძლება ჩაატაროს ხელის აწევით ხმის მიცემის პროცედურა; ჩაატაროს კენჭისყრა, რომელიც დამსწრეთა ხმების 2/3-ს მოითხოვს. პროცესი მანამ გრძელდება, სანამ წინადადება ყველასთვის მისაღები არ გახდება.

ხელის აწევით პოზიციის დაფიქსირება (მაგ. თანხმობის გამოხატვა) კარგი საშუალებაა ამა თუ იმ საკითხზე ჯგუფის განწყობის გასაგებად. საინტერესო იქნება ჯგუფისთვის ხელის აწევის სხვადასხვა ფორმის შემუშავება, თუკი თითოეული მათგანი კონკრეტულ რეაქციას გამოხატავს და ჯგუფის ყველა წევრს საშუალებას მისცემს, გამოთქვას აზრი თითოეულ განსახილველ საკითხზე.

ხმის მიცემა გადაწყვეტილების მიღების მეთოდია, რომელიც განსაკუთრებით კარგად არის მორგებული დიდ ჯგუფებზე. იმისათვის, რომ არ მოხდეს უმცირესობის დიდი ნაწილის აზრის იგნორირება, შეიძლება შეთანხმდეთ, რომ გადაწყვეტილების მისაღებად ხმათა ორი მესამედი მაინც იქნება საჭირო.

კონსენსუსის პროცესი გულისხმობს ყველა მოსაზრების გათვალისწინებით ჯგუფის საერთო შეთანხმებამდე მიყვანას. ის არ ნიშნავს სრულ ერთსულოვნებას. კონსენსუსის მიღწევა უფრო დიდ დროს მოითხოვს, ვიდრე სხვა ქმედებები, თუმცა ის აღვივებს შემოქმედებით მუხტს, ახალისებს ურთიერთთანამშრომლობას და ქმნის საბოლოო გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას. ბოლოს, ორგანიზატორი მკაფიოდ ჩამოაყალიბებს შედეგს. კონსენსუსის მიღწევის პროცესი არასწორად წარიმართება, თუ მოსაზრებების საფუძველი გახდება პირადი ინტერესები, სკოლის ხელმძღვანელობასთან დაპირისპირება, კონფლიქტები, უნდობლობა და სხვა პირადი ფაქტორები. ნდობა კონსენსუსის მიღწევის წინა პირობაა.

თუ რომელიმე სკოლას აქვს სურვილი, მონაწილეობა მიიღოს პროექტში „მონაწილეობითი ბიუჯეტირება", რათა ამ სახის ბიუჯეტირება საკუთარ სკოლაში განახორციელოს, მოგვმართეთ თავისუფლების ინსტიტუტის ოფისში 3 თებერვლამდე. პროექტში მონაწილეობის მისაღებად სკოლის წარდგენა შეუძლია ნებისმიერი სკოლის ადმინისტრაციას ან მშობელთა გაერთიანებას. ჩვენ მიერ შერჩეულ სკოლათა ადმინისტრაციას პასუხი 5 თებერვალს ეცნობება.

**თავისუფლების ინსტიტუტის ოფისის მისამართია: თბილისი, გრიბოედოვის 23 ტელ.: 93 66 15**

რედკოლეგია:
გიორგი მელაძე, ლევან რამიშვილი, თამუნა ტაბატაძე, ლალი ქელაგიძე, ლალი ცქიტიშვილი, ქეთი ჩარხიანი
თავისუფლების ინსტიტუტი
თბილისი 0108, გრიბოედოვის 23, ტელ.: 93 66 15, ფაქსი: 93 67 84, ელ-ფოსტა: liberty@liberty.ge, www.liberty.ge

USAID

ეს პუბლიკაცია მომზადებულია USAID (ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო), ევრაზიის ფონდის და ბრიტანეთის მთავრობის (გლობალური კონფლიქტის პრევენციის ფონდი) მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ამერიკის მთავრობის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ევრაზიის ფონდის და ბრიტანეთის მთავრობის შეხედულებებს.

ნოდარ ლადარია

დიდი ხანია "24 საათის" პრესომბუდსმენს სტუმრები არა ჰყოლია. გადავწყვიტე, არ დამეკარგა ეს ტრადიცია, მით უმეტეს, რომ ამჯერად ამისათვის კონკრეტული საბაბიც მქონდა, სახელდობრ, ჟურნალ "საპატრიარქოს უწყებანში" გამოქვეყნებული შემდეგი ტექსტი:

*უკრაინაში ქართული ეკლესიის გახსნის შესახებ საქართველოს საპატრიარქოს განცხადება როგორც საინფორმაციო საშუალებებით გახდა ცნობილი, საქართველოდან უკრაინაში მიემგზავრება დელეგაცია, რათა მონაწილეობა მიიღონ ქართული ეკლესიის გახსნაში.*
*განვმარტავთ, რომ ეს ეკლესია არის უკრაინის იმ საპატრიარქოს დაქვემდებარებაში, რომელიც არ არის აღიარებული მსოფლიოს არც ერთი მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ. აქ აღსრულებულ საიდუმლოებებს (ნათლობა, მღვდლად კურთხევა, ჯვრისწერა და სხვა) და აქ მომსახურე სასულიერო პირებს (მათ შორის ახლადნაკურთხ მღვდელ ნიკოლოზ ინასარიძეს) არ სცნობს მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესია.*
*აქედან გამომდინარე, არც აღნიშნული ტაძრის გახსნა და არც მღვდელმოქმედებაშეჩერებული დეკანოზის, ბასილ კობახიძისა და სასულიერო მსახურებააკრძალულ ეპისკოპოს ქრისტეფორეს (წამალაიძე) უკრაინაში წასვლა საქართველოს საპატრიარქოსთან არ შეთანხმებულა და არის თვითნებური ქმედება.*
*რაც შეეხება სახელმწიფო ზეიმს, რომელსაც 22 იანვარს აღნიშნავენ უკრაინაში, საქართველოს საპატრიარქო მიესალმება მას და უსურვებს ერთმორწმუნე უკრაინელ ხალხს და მის ხელისუფალთ მშვიდობას და შემდგომ წარმატებებს.*

საერო გაზეთი არ არის ადგილი ამ ტექსტში არსებული თეოლოგიური აბსურდების განსახილველად. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ აქ უცნაურად და გაუგებრადაა აღრეული ეკლესიის იურიდიული და საღვთისმეტყველო განზომილებები. მაგრამ კონკრეტული ვითარება მაინც მოითხოვს განმარტებას და ამიტომაც დახმარება ვთხოვე საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს **ლევან დუჩიძეს**, რომელიც 20-25 იანვარს ოფიციალურად იმყოფებოდა კიევში უკრაინის უმაღლესი რადისა და კიევის საპატრიარქოს მოწვევით. ვიზიტს, რომელშიც საქართველოს სახალხო დამცველი, **სოზარ სუბარიც** მონაწილეობდა, სამი მიზეზი ჰქონდა: 22 იანვარს უკრაინის სახელმწიფო ერთიანობის დღესასწაული, კიევში ქართული ეკლესიის გახსნა, 23 იანვარს კიევის და რუს-უკრაინის პატრიარქ ფილარეტის დაბადების დღე, რომელიც უკრაინის დამოუკიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელს საქართველოს პრეზიდენტმა, **მიხეილ სააკაშვილმა** ოფიციალური წერილით მიულოცა. ეს წერილიც და ვიზიტის გარშემო მასალები "24 საათმა" 25 იანვრის ნომერში უკვე გამოაქვეყნა. საინტერესოა, რომ საპატრიარქოს განცხადება დათარიღებულია 20 იანვრით, ხოლო ჩვენს გაზეთში პრეზიდენტის წერილის გამოქვეყნების შემდეგ საქართველოს საპატრიარქოში უკვე ასე თამამად ველარ გამოხატავენ რადიკალურ აზრებს, უფრო მეტიც: ამ მხრივ, **ედუარდ შევარდნაძის** მაგალითს ბაძავენ და რუსეთიდან და უკრაინიდან მომავალ სატელეფონო ზარებზე არ პასუხობენ...

მაგრამ ჭორებს ნუ ავყვებით. მაშინაც კი, როცა ისინი ადვილად დასაჯერებელია. მოვისმინოთ ამ საკითხების გარშემო კვალიფიცირებული აზრი:

**- ბატონო ლევან, გთხოვთ, მოგვახსენოთ თქვენი შთაბეჭდილებები უკრაინაში ვიზიტის შემდეგ და მოგვითხროთ ამ ვიზიტის წარმატების შესახებ...**

- ვფიქრობ, რომ მოვლენა, რომელიც ვიზიტს დაედო საფუძვლად, და მისი მნიშვნელობა არ უნდა იწვევდეს აზრთა სხვადასხვაობას. თავისთავად, დადებითი და სასიამოვნო მოვლენაა, როცა საქართველოს ფარგლებს გარეთ და, მით უმეტეს, ჩვენს მიმართ აგრერიგად მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოში იხსნება ეკლესია, სადაც ღვთისმსახურებას ქართულ ენაზე ჩაატარებენ. კიევში არის საკმარისი რაოდენობა თუ არა საქართველოს მოქალაქეების, ეთნიკური ქართველებისა მაინც, რომელთაც დიდ სულიერ სარგებელს მიანიჭებს ქართულ ეკლესიაში ლოცვა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო იქ ქართველი კურსანტების შემოსვლა, რომლებიც მოვიდნენ დროშებით, სადღესასწაულო ფორმებში გამოწყობილნი და დაესწრნენ ლიტურგიას. უეჭველია, რომ ეს ეკლესია აქტიურად იფუნქციონირებს და თუნდაც ამ კუთხიდან დანახული ეს საკითხი უკვე ძალიან სასიხარულოა.

მაგრამ საკითხს მდიდარი პოლიტიკური ასპექტიც აქვს. ჩვენი ურთიერთობა უკრაინის სახელმწიფოსთან ჯერ კიდევ ნარინჯისფერ რევოლუციამდე სრულიად უნიკალური იყო. წინა მთავრობების დროსაც ჩვენ არაერთხელ გვიგვრძვნია უკრაინიდან გამოწვდილი მეგობრული ხელი. რა თქმა უნდა, რევოლუციის შემდეგ ეს ურთიერთობა შეუდარებლად მრავალფეროვანი და მასშტაბური გახდა. განსაკუთრებით ფართოდაა ცნობილი ჩვენი თანამშრომლობა პოლიტიკურ და სამხედრო სფეროებში — მარტო ის რად ღირს, რომ უკრაინაში გამოცხადდა საქართველოს წელიწადი მდიდარი კულტურული პროგრამით. ახლა კი მივედით იქამდეც, რომ ეს პარტნიორული და, მე ვიტყოდი, ახლებურად პარტნიორული ურთიერთობა გადაწვდა სასულიერო სფეროსაც, რაც, ცხადია, არ შეიძლება არ იწვევდეს დადებით ემოციებს.

**- როგორ აფასებთ რელიგიური ფაქტორის მნიშვნელობას საგარეო პოლიტიკაში და რანაირი გამოცდილება მიიღეთ ამ მნიშვნელობის შესაფასებლად უკრაინაში?**

- სიმართლე გითხრათ, ამ თემატიკას ყოველთვის დიდი სიფრთხილით ვეკიდები. მიმაჩნია, რომ ცივილიზაციის უდიდესი მონაპოვარია რელიგიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისგან გაყოფა. მაგრამ იქ, სადაც ეს გაყოფა ირღვევა, შეუძლებელია არ გადაიდგას ადეკვატური ნაბიჯები.

ვერ ვიტყვი, რომ რელიგიური ასპექტი გადამწყვეტი იყოს მაშინ, როცა საქართველო ახორციელებს თავის საგარეო პოლიტიკას. ეს ამ ბოლო დღეებშიც გამოჩნდა, როცა ასეთ სავალალო მდგომარეობაში აღმოვჩნდით ჩვენი ერთმორწმუნე მეზობლის მიზეზით, დახმარებას კი ჩვენი ქვეყანა ირანის ისლამური რესპუბლიკისგან იღებს. მაგრამ როცა საუბარია უკრაინაზე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ იქ მართლაც უნიკალური ვითარებაა: ესაა სახელმწიფო, რომელიც დღეს ყალიბდება, მიუხედავად უმდიდრესი ბუნებრივი რესურსებისა, მიუხედავად საინტერესო ისტორიისა, საზოგადოების კონსოლიდაცია სახელმწიფოებრიობის იდეის შესახებ სწორედ დღეს ხდება. ეს ძალიან მტკივნეული პროცესია, რომელსაც კიდევ უფრო ართულებს დაქსაქსულობა რელიგიურ სფეროში.

ამ შემთხვევაში მე ვგულისხმობ მოსკოვის საპატრიარქოს, რომელიც ძალიან აქტიურად, აგრესიულად, დაუფარავად იყენებს რელიგიურ ფაქტორს უკრაინის კონკრეტულ რეგიონებში, რომელიც შეუნიღბავად ერევა სახელმწიფო პროცესებში. ამ პირობებში გაუმართლებელი იქნება, თუ უკრაინის მეგობარი სახელმწიფო განზე გადგება ამ მოვლენებისგან და, სულ მცირე, თანადგომასა და თანაგრძნობას არ გამოუცხადებს უკრაინელ ხალხს. სასურველია, რომ გადაიდგას უფრო ქმედითი ნაბიჯები, რომ ეს მეგობრობა მხოლოდ თანაგრძნობით არ გამოიხატოს.

კიდევ ერთხელ დავაზუსტებ, რომ მიუხედავად სახელმწიფოსა და რელიგიის სრული განცალკევების ჩემ მიერ სრულიად გაზიარებული პრინციპისა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ძალიან ძნელია მთლიანად დავემორჩილოთ ამ პრინციპს სწორედ იმის გამო, რომ მოსკოვის საპატრიარქო დაუფარავად იყენებს რელიგიურ ფაქტორს უკრაინის სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული აგრესიული მიზნების განსახორციელებლად.

**- თქვენ ამგვარი ვითარების არსებობაში მხოლოდ ვიზიტის შედეგად დარწმუნდით, თუ არსებობს რაიმე საშუალებები, რომ მოვლენები შევიცნოთ და შევაფასოთ უკრაინაში ჩაუსვლელად?**

- პირიქით, უკრაინაში ჩასვლით ძნელია ამის დანახვა. დღეს საჭირო ინფორმაციის მოპოვება სახლიდან გაუსვლელადაც შეიძლება. გარდა ამისა, მე დამეხმარა მივლინებები ევროპის ქვეყნებში, სადაც ჩემი გზები ხშირად იკვეთებოდა უკრაინელ კოლეგებთან. გარდა ამისა, ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო უკრაინამ იმ პერიოდიდან, როცა **ლეონიდე კუჩმას** პრეზიდენტობა დასასრულს უახლოვდებოდა და ამის გამო აქტიურად განვიხილავდით ხოლმე განვითარების შესაძლო სცენარებს. ამ პერიოდიდან გაღრმავდა ჩემი ცოდნა უკრაინის შესახებ, თუმცა ის, რომ იქ საკმაო რელიგიური მრავალფეროვნება იყო, მანამდეც ვიცოდი, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდიდან.

თუ მაინცდამაინც უკრაინაში ჩასვლას განვიხილავთ როგორც ინფორმაციის წყაროს, უნდა ვთქვათ, რომ აუცილებელია იქაური დასავლეთისა და აღმოსავლეთის მონახულება და უშუალო კონტაქტი საზოგადოებასთან.

**- ეს შეკითხვა იმიტომ დავსვი, რომ, ჩემი აზრით, საქართველოში ჯეროვნად ვერ აფასებენ იმ დესტრუქციულ როლს, რომელსაც მოსკოვის საპატრიარქო ასრულებს არა მარტო უკრაინაში, არამედ სხვაგან. ეს შეფასება არ იგრძნობა არც საზოგადოების, კერძოდ, მედიის და არც ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის.**

- საქართველოს შემთხვევაში ვითარება მაინც საკმაოდ განსხვავებულია. ჩვენ გვყავს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც არის ავტოკეფალური და არის ან, ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს დამოუკიდებელი. იმის დამტკიცება, რომ იგი მოსკოვის საპატრიარქოს უშუალო და ძლიერ გავლენას განიცდის, ძალიან რთულია. მართალია, ჩვენ ვხედავთ ხანდახან, რომ ჩვენი იერარქების საქციელი ზოგჯერ არა მარტო ირიბად მიგვანიშნებს ასეთ დამოკიდებულებაზე, არამედ საერო სამართლის ფარგლებშიც კი არ ჯდება, მაგრამ ხელაღებით რაიმეს მტკიცების საშუალება მაინც არა გვაქვს. უკრაინაში კი პირიქით: არსებობს ეკლესიის ნაწილი, რომელიც პირდაპირ და დაუფარავად ასრულებს მოსკოვის დირექტივებს, არის მეორე ნაწილი, რომელიც დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს და ყველაფერი აშკარად ჩანს.

**- როგორი რეზონანსი მოჰყვა თქვენს ვიზიტს საქართველოში?**

- ჯერ არ გასულა საკმაო დრო შედეგების შესაფასებლად. გარდა ამისა, არ ყოფილა საკმარისი გაშუქება მედიაში. მაგრამ, რაც მთავარია, ვიზიტის შემდგომი პერიოდი დაემთხვა სრულიად არაორდინარულ ვითარებას, ენერგოკრიზისს საქართველოში, რამაც სრულიად გადაფარა ყველა სხვა პოლიტიკური მოვლენა. ჩვენ შევიტყვეთ საქართველოს საპატრიარქოს რეაქცია, თუმცა ამაში არაფერი განსაკუთრებული არ ყოფილა — უბრალოდ, დაფიქსირდა ის, რომ საპატრიარქოს ამ მოვლენასთან არაფერი საერთო არ ჰქონია.

უფრო მეტი გამოხმაურება ჰქონდა ვიზიტს რუსეთში, რაზეც მეტყველებს ის უარყოფითი და პირდაპირ აგრესიული რეაქცია, რომლითაც სავსეა ინტერნეტი.

ჩემთვის პირადად ვიზიტს სამი მნიშვნელობა ჰქონდა: ქართული ეკლესიის გახსნის აღნიშვნა, უკრაინის უმაღლესი რადის წარმომადგენლებთან შეხვედრა და საუბარი, რაც გააღრმავებდა სიტუაციის შესახებ ჩვენს ცოდნას და, მესამე, იმის გაგება, თუ რა შეიძლება მოიმოქმედოს საქართველოს პარლამენტმა მაშინ, როცა ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს სჭირდება დახმარება ამ რთულ ვითარებაში.

**- რამდენადაც მე ვიცი, ვიქტორ იუშჩენკოს წარმატება საპრეზიდენტო არჩევნებში განპირობებული იყო იმითაც, რომ მისი შტაბი სრულ რელიგიურ ნეიტრალიტეტს იცავდა. ამან უზრუნველყო სხვა რელიგიების წარმომადგენელთა მხრიდან მხარდაჭერა. ხომ არ იქმნება შთაბეჭდილება, რომ უკრაინის ხელისუფლებამ შექმნილი ვითარების გამო უარი თქვა ამ ნეიტრალიტეტზე?**

- უკრაინის პრეზიდენტი ახლა სრულიად ცალსახად უჭერს მხარს კიევის დამოუკიდებელ საპატრიარქოს. ჩვენი ვიზიტი დაემთხვა პატრიარქ ფილარეტის დაბადების დღეს, რომელიც იუშჩენკომ პირადად მიულოცა მას. მის გამოსვლებშიც ჩანს, რომ უკრაინის დამოუკიდებელი მართლმადიდებელი ეკლესიის არსებობა სრულიად გადამწყვეტია ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის.

ნეიტრალიტეტს იცავს თვით კიევის საპატრიარქო, რომელიც არ ერევა არც წინასაარჩევნო, არც სხვა რომელიმე პოლიტიკურ პროცესში. განსხვავებით მოსკოვის იურისდიქციისაგან, რომელიც სრულიად შეუნიღბავად მოქმედებს. ამით პატრიარქი ფილარეტი იმსახურებს არა მარტო საკუთარი მრევლის, არამედ სხვა სარწმუნოების ან არარელიგიური მოსახლეობის კეთილგანწყობას.

**- მაშინ შეიძლება გამოვხატოთ ვარაუდი, რომ იუშჩენკოს მიერ რელიგიურ ფაქტორზე ყურადღების გამახვილება გამოწვეულია რუსეთის მიერ საკუთარი იურისდიქციის, ასე ვთქვათ, ინსტრუმენტალიზაციით თავისი პოლიტიკური ინტერესების განსახორციელებლად.**

- რა თქმა უნდა, ეს არის სრულიად პოლიტიკური მოვლენა. პრეზიდენტის მხრიდან მას არ უდევს საფუძვლად არავითარი რელიგიურ-სეპარატისტული მოტივაცია. ეს არის საპასუხო რეაქცია იმაზე, რომ მოსკოვის საპატრიარქო ყველანაირი დაუშვებელი მეთოდით ცდილობს შეღწევას იქ, სადაც საპატრიარქოს საერთოდ არ უნდა ჰქონდეს გავლენა.

**- 2005 წლის ბოლოს რადიოში მიმიწვიეს და მთხოვეს საქართველოს საგარეო პოლიტიკის შეფასება. მე ვთქვი, რომ ის არის სწორი, მაგრამ ზედაპირული. ამაში ვგულისხმობ იმას, რომ ხშირად ჩვენს პოლიტიკურ ნაბიჯებს არ ახლავს თან ერთსულოვნება საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოების ყველა რგოლში. ერთსულოვნება, რომელიც ქმედითობას მიანიჭებდა თავისთავად სწორ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. რაც შეეხება ამ კონკრეტულ შემთხვევას, ვფიქრობ, რომ აქ არა მარტო ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს ვუჭერთ მხარს, არამედ საკუთარ თავსაც...**

- იმისათვის, რომ ვისაუბროთ საზოგადოების პოზიციაზე, აუცილებელია ამ საზოგადოების ინფორმირება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს საზოგადოებას არავითარი პოზიცია არ გააჩნია, რადგან ის არ არის საკმარისად ინფორმირებული. ამ ორი-სამი დღის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ მან არც იცის ამ პრობლემის არსებობის შესახებ და წარმოდგენა არა აქვს იმაზე, თუ რა შეგვიძლია გავაკეთოთ ჩვენი გულწრფელი პარტნიორების დასახმარებლად. ამიტომ მიმაჩნია, რომ საზოგადოების პოზიციაზე გავლენის მოხდენა კი არა, უპირველეს ყოვლისა, მისი ინფორმირებაა საჭირო. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება ფიქრი იმაზე, რომ საზოგადოების აზრი გასათვალისწინებელია, რადგან საზოგადოებას შეექმნება წარმოდგენა, თუ როგორები უნდა ვიყოთ ჩვენ და რა უნდა მოვიმოქმედოთ. როგორც კი საზოგადოებრივი დისკუსია წარმოიშობა ამ საკითხზე, მაშინ იქნება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლიც კონსტრუქციული და ყველა ერთად მივალთ სათანადო შედეგამდე. ჯერ კი არა მგონია, რომ საქართველოს ხელისუფლების რომელიმე შტომ ან თუნდაც საპატრიარქომ ნაჩქარევი გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს. ახლა ჩვენი ვალია ჯეროვნად გავათვითცნობიეროთ ჩვენი ხალხი უკრაინაში მიმდინარე პროცესების შესახებ.




ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge





*კიევის და რუს-უკრაინის პატრიარქი ფილარეტი და საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლევან დუჩიძე.*

# კიევის და სრულიად რუს-უკრაინის პატრიარქის, უწმინდესი ფილარეტის წერილი საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს

*23. 01. 2006. კიევი*

ღრმად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

უსაზღვროდ მადლიერი ვარ, იმ გულითადი მოკითხვისა და კეთილი სურვილებისათვის, რომლებიც გამოთქვით ჩემი დაბადების დღის მოსალოც წერილში.

ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ, როგორც წარსულში, მოძმე უკრაინელი და ქართველი ერები, ახლაც ერთად არიან მათი განვითარების გზაზე არსებული სიძნელეების დაძლევაში. ასევე ძალზედ მსგავსნი არიან საქართველოსა და უკრაინის ეკლესიების გზები. ორივემ იწვნიეს რუსეთის ხელისუფლების მიერ დამონება და შემდეგ საკუთარი ეკლესიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. ამიტომაც, უკრაინაში ძალიან ვაფასებთ, საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეთა, საქართველოს ეკლესიის იერარქთა და სამღვდელოების მხარდაჭერას კიევის საპატრიარქოსადმი, რაც, ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასი და მნიშვნელოვანია.

უკვე მრავალი წელია ქართველები ცხოვრობენ და შრომობენ უკრაინაში. ამიტომაც კიევის საპატრიარქომ სიხარულით დაუჭირა მხარი მართლმადიდებელი ქართველი სასულიერო პირებისა და მორწმუნეთა სურვილს ჰქონოდათ საკუთარი სამრევლო, რათა სულიერი მოღვაწეობა საქართველოს ეკლესიის ტრადიციების მიხედვით განეხორციელებინათ. 22 იანვარს აღსრულდა საზეიმო ღვთისმსახურება, რომელმაც სათავე დაუდო პირველ ქართულ სამრევლოს უკრაინის დედაქალაქში. ღვთისმსახურებას სულიერი მნიშვნელობა შემატა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსისა და სასულიერო პირის თანამსახურებამ კიევის საპატრიარქოს საჭეთმპყრობელთან და აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფოსა და კიევის ქართული საზოგადოების წარმომადგენლების დასწრებამ. ვიმედოვნებთ, რომ ამგვარი ბრწყინვალე დასაწყისით, კიევის ქართული სამრევლოს მოღვაწეობა მრავალ კეთილ ნაყოფს გამოიღებს.

ღმერთს შევთხოვ თქვენს ჯანმრთელობას და უფალს ვევედრები აკურთხოს თქვენი რთული მოღვაწეობა დიდებული ქართველი ერის საკეთილდღეოდ. უფალმა მიანიჭოს საქართველოს ერთიანობა, მშვიდობა და ყოველი სიკეთე.

*ღრმა და გულწრფელი პატივისცემით*
*ფილარეტი*
*პატრიარქი კიევისა და სრულიად რუს-უკრაინისა*

# კიევის და სრულიად რუს-უკრაინის პატრიარქის, უწმინდესი ფილარეტის წერილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II

*23. 01. 2006 კიევი*

თქვენო უწმინდესობავ,

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის-კიევის საპატრიარქოს მღვდელმთავრების, სამღვდელოების, მრევლისა და განსაკუთრებით ჩემი სახელით გულითადად მოგესალმებით და გისურვებთ ღვთის შემწეობას თქვენს საპატრიარქო მსახურებაში და მრავალჟამიერ სიცოცხლეს.

უკვე მრავალი წელია ქართველები ცხოვრობენ და შრომობენ უკრაინაში. ამიტომაც კიევის საპატრიარქომ სიხარულით დაუჭირა მხარი მართლმადიდებელი ქართველი სასულიერო პირებისა და მორწმუნეთა სურვილს, ჰქონოდათ საკუთარი სამრევლო, რათა სულიერი მოღვაწეობა საქართველოს ეკლესიის ტრადიციების მიხედვით განეხორციელებინათ. 22 იანვარს აღსრულდა საზეიმო ღვთისმსახურება, რომელმაც სათავე დაუდო პირველ ქართულ სამრევლოს უკრაინის დედაქალაქში. ღვთისმსახურებას სულიერი მნიშვნელობა შემატა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიიდან ჩვენი ქრისტესმიერი ძმების - ეპისკოპოს ქრისტეფორესა და დეკანოზ ბასილ კობახიძის თანამსახურებამ კიევის საპატრიარქოს საჭეთმპყრობელთან და აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფოსა და კიევის ქართული საზოგადოების წარმომადგენლების დასწრებამ. ვიმედოვნებთ, რომ ამგვარი ბრწყინვალე დასაწყისით, კიევის ქართული სამრევლოს მოღვაწეობა მრავალ კეთილ ნაყოფს გამოიღებს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს მოვლენა კიდევ უფრო მჭიდროს გახდის ურთიერთობებს საქართველოსა და კიევის საპატრიარქოებს შორის — ქრისტეს ეკლესიისა და ღვთისმოყვარე ქართველი და უკრაინელი ერების სასიკეთოდ.

ვლოცულობ თქვენი უწმინდესობისათვის და ქართველი ერის მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის.

*ქრისტესმიერი სიყვარულით*
*ფილარეტი*
*პატრიარქი კიევისა და სრულიად რუს-უკრაინისა*



# საქართველოს ბანკის 2005 წლის მოგება-ზარალის უწყისი

ბანკი: საქართველოს ბანკი
თარიღი: 12/31/05

RC **საბალანსო უწყისი** ლარებში

| N | აქტივები | ლარი | უც. ვალუტა | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1 | ნაღდი ფული | 10,729,646 | 14,178,221 | 24,907,867 |
| 2 | ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 33,219,183 | 30,557 | 33,249,740 |
| 3 | ფულადი სახსრები სხვა ბანკებში | 10,012,500 | 19,302,110 | 29,314,610 |
| 4 | ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის | 0 | 0 | 0 |
| 5 | საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 9,491,842 | 0 | 9,491,842 |
| 6.1 | მთლიანი სესხები | 90,145,546 | 224,934,072 | 315,079,617 |
| 6.2 | მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი | (3,083,721) | (14,615,112) | (17,698,833) |
| 6 | წმინდა სესხები | 87,061,825 | 210,318,960 | 297,380,785 |
| 7 | დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები | 1,106,920 | 2,266,316 | 3,373,236 |
| 8 | დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება | 1,356,533 | X | 1,356,533 |
| 9 | ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში | 9,221,425 | 0 | 9,221,425 |
| 10 | ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 37,294,683 | X | 37,294,683 |
| 11 | სხვა აქტივები | 4,719,716 | 3,016,649 | 7,736,365 |
| 12 | **მთლიანი აქტივები** | 204,214,273 | 249,112,813 | 453,327,086 |
| | **ვალდებულებები** | | | |
| 13 | ბანკების დეპოზიტები | 105,238 | 20,957,557 | 21,062,795 |
| 14 | მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები) | 53,964,367 | 58,560,995 | 112,525,362 |
| 15 | მოთხოვნამდე დეპოზიტები | 10,673,436 | 24,391,778 | 35,065,214 |
| 16 | ვადიანი დეპოზიტები | 16,031,537 | 107,482,920 | 123,514,457 |
| 17 | საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები | 1,407,300 | | 1,407,300 |
| 18 | ნასესხები სახსრები | 4,900,000 | 49,802,186 | 54,702,186 |
| 19 | დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები | 462,269 | 3,758,577 | 4,220,846 |
| 20 | სხვა ვალდებულებები | 7,827,463 | 3,323,935 | 11,151,398 |
| 21 | სუბორდინირებული ვალდებულებები | 0 | 0 | 0 |
| 22 | **მთლიანი ვალდებულებები** | 95,371,610 | 268,277,948 | 363,649,558 |
| | **სააქციო კაპიტალი** | | | |
| 23 | ჩვეულებრივი აქციები | 14,728,704 | X | 14,728,704 |
| 24 | პრივილეგირებული აქციები | 0 | X | 0 |
| 25 | მინუს: გამოსყიდული აქციები | 0 | X | 0 |
| 26 | საემისიო კაპიტალი | 33,222,491 | X | 33,222,491 |
| 27 | საერთო რეზერვები | 0 | X | 0 |
| 28 | გაუნაწილებელი მოგება | 36,146,800 | X | 36,146,800 |
| 29 | აქტივების გადაფასების რეზერვები | 5,579,533 | X | 5,579,533 |
| 30 | **სულ სააქციო კაპიტალი** | 89,677,528 | X | 89,677,528 |
| 31 | **მთლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი** | 185,049,138 | 268,277,948 | 453,327,086 |

ბანკი: საქართველოს ბანკი
თარიღი: 12/31/05

RI **მოგება - ზარალის უწყისი** ლარებში

| N | | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ |
|---|---|---|---|---|
| | **საპროცენტო შემოსავლები** | | | |
| 1 | საპროცენტო შემოსავლები ბანკებიდან "ნოსტრო" ანგარიშებისა და დეპოზიტების მიხედვით | 676,768 | 292,023 | 968,791 |
| 2 | საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან | 11,828,280 | 33,581,568 | 45,409,848 |
| 2.1 | ბანკთაშორისი სესხებიდან | 359,189 | 196,893 | 556,082 |
| 2.2 | ვაჭრობისა და მომსახურების სექტორზე გაცემული სესხებიდან | 2,621,700 | 10,436,598 | 13,058,298 |
| 2.3 | ენერგეტიკის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 13,006 | 19,606 | 32,612 |
| 2.4 | სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 32,435 | 269,255 | 301,690 |
| 2.5 | მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 942,673 | 1,226,345 | 2,169,018 |
| 2.6 | სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ სექტორზე გაცემული სესხებიდან | 1,269,357 | 4,064,386 | 5,333,743 |
| 2.7 | ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 156,553 | 635,511 | 792,064 |
| 2.8 | ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან | 6,020,965 | 14,912,919 | 20,933,884 |
| 2.9 | დანარჩენ სექტორზე გაცემული სესხებიდან | 412,402 | 1,820,055 | 2,232,457 |
| 3 | საპროცენტო და დისკონტური შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან | 2,524,459 | 0 | 2,524,459 |
| 4 | სხვა საპროცენტო შემოსავლები | 0 | 0 | 0 |
| 5 | **მთლიანი საპროცენტო შემოსავალი** | 15,029,507 | 33,873,591 | 48,903,098 |
| | **საპროცენტო ხარჯები** | | | |
| 6 | მოთხოვნამდე დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 290,438 | 940,837 | 1,231,275 |
| 7 | ვადიან დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 754,278 | 7,196,041 | 7,950,319 |
| 8 | ბანკების დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 55,784 | 128,995 | 184,779 |
| 9 | საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტები | 25,918 | 0 | 25,918 |
| 10 | ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები | 197,333 | 3,292,681 | 3,490,014 |
| 11 | სხვა საპროცენტო ხარჯები | 0 | 0 | 0 |
| 12 | **მთლიანი საპროცენტო ხარჯები** | 1,323,751 | 11,558,554 | 12,882,305 |
| 13 | **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | 13,705,756 | 22,315,037 | 36,020,793 |
| | **არასაპროცენტო შემოსავლები** | | | |
| 14 | წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები მომსახურების მიხედვით | 3,506,650 | 7,290,407 | 10,797,057 |
| ##### | საკომისიო და სხვა შემოსავლები გაწეული მომსახურების მიხედვით | 4,082,298 | 8,820,756 | 12,903,054 |
| ##### | საკომისიო და სხვა ხარჯები მიღებული მომსახურების მიხედვით | 575,648 | 1,530,349 | 2,105,997 |
| 15 | მიღებული დივიდენდები | 14,445 | 0 | 14,445 |
| 16 | მოგება (ზარალი) დილინგური ფასიანი ქაღალდებიდან | 0 | 0 | 0 |
| 17 | მოგება (ზარალი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან | 0 | 0 | 0 |
| 18 | მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან | 6,681,848 | 0 | 6,681,848 |
| 19 | მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | (139,603) | 0 | (139,603) |
| 20 | მოგება (ზარალი) ქონების გაყიდვიდან | 57,009 | 0 | 57,009 |
| 21 | სხვა საბანკო ოპერციებიდან მიღებული არასაპროცენტო შემოსავლები | 720,812 | 2,156,413 | 2,877,225 |
| 22 | სხვა არასაპროცენტო შემოსავლები | 287,256 | 53,782 | 341,038 |
| 23 | **მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები** | 11,128,417 | 9,500,602 | 20,629,019 |
| | **არასაპროცენტო ხარჯები** | | | |
| 24 | სხვა საბანკო ოპერაციების მიხედვით გაწეული არასაპროცენტო ხარჯები | 520,055 | 617,001 | 1,137,056 |
| 25 | ბანკის განვითარების, საკონსულტაციო და მარკეტინგის ხარჯები | 2,061,095 | 185,250 | 2,246,345 |
| 26 | ბანკის პერსონალის ხარჯები | 21,027,535 | 0 | 21,027,535 |
| 27 | ძირითადი საშუალებების საექსპლოატაციო ხარჯები | 404,288 | 0 | 404,288 |
| 28 | ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები | 3,491,954 | 0 | 3,491,954 |
| 29 | სხვა არასაპროცენტო ხარჯები | 7,582,989 | 333,274 | 7,916,263 |
| 30 | **მთლიანი არასაპროცენტო ხარჯები** | 35,087,916 | 1,135,525 | 36,223,441 |
| 31 | **წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი** | (23,959,499) | 8,365,077 | (15,594,422) |
| 32 | **წმინდა მოგება დარეზერვებამდე** | (10,253,743) | 30,680,114 | 20,426,371 |
| 33 | ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 5,965,213 | X | 5,965,213 |
| 34 | ზარალი ინვესტიციების და ფასიანი ქაღალდების გაუფასურების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 176,324 | X | 176,324 |
| 35 | ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 221,956 | X | 221,956 |
| 36 | **მთლიანი ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით** | 6,363,493 | 0 | 6,363,493 |
| 37 | **მოგება გადასახადის გადახდამდე და გაუთვალისწინებელ შემოსავალ-ხარჯებამდე** | (16,617,236) | 30,680,114 | 14,062,878 |
| 38 | მოგების გადასახადი | 1,289,194 | | 1,289,194 |
| 39 | **მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ** | (17,906,430) | 30,680,114 | 12,773,684 |
| 40 | გაუთვალისწინებელი შემოსავლები (ხარჯები) | | | 0 |
| 41 | **წმინდა მოგება** | (17,906,430) | 30,680,114 | 12,773,684 |

*გენერალური დირექტორი*
*მთავარი ბუღალტერი*

## ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

**თქვენ ისევ სჭირდებით ქვეყანას**

"უმუშევართა გადამზადებისა და თვითდასაქმების პროგრამის" ფარგლებში ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო" ატარებს პროფესიული გადამზადების უფასო კურსებს.

პროექტით გათვალისწინებულია სპეციალური სწავლების კურსები კერძო ბიზნესის წამოწყების, მისი წარმატებული განვითარებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შესაძენად.

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საჯარო სამსახურებიდან გათავისუფლებულ 28-დან 50 წლამდე ასაკის მოქალაქეებს.

კურსის დამთავრებისას ყველა მონაწილეს გადაეცემა შესაბამისი სერტიფიკატი. წარმატებულ კურსდამთავრებულს ფონდი ხელს შეუწყობს გრანტებისა და კრედიტების მოძიებაში.

სწავლების კურსებს ახორციელებენ ორგანიზაციები **CTC** (კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი) და **ESM** თბილისი (მართვის ევროპული სკოლა).
სწავლების ხანგრძლივობაა 6 თვე.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ **CV** (ავტობიოგრაფია) და შრომის წიგნაკის ასლი შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, ყაზბეგის 34, ნაკვეთი III**
**საბუთები მიიღება 2006 წლის 5 თებერვლამდე.**
**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელეფონით: 91 59 16.**
**ეწვიეთ ვებგვერდს: www.osgt.ge**

United Nations Development Programme
UNDP Georgia

## გაეროს განვითარების პროგრამა აცხადებს ტენდერს

**გაეროსა და საქართველოს მთავრობის მიერ ერთობლივად განხორციელებული პროექტების აუდიტის ჩასატარებლად**

სატენდერო წინადადება და სამუშაოს აღწერილობა შეგიძლიათ მიიღოთ გაეროს განვითარების პროგრამის ოფისის მისაღებში (მისამართი: გაეროს სახლი, ერისთავის ქუჩა 9, თბილისი, საქართველო. ტელ: 25-11-26/28/29/31) სამუშაო საათებში 9:30-18:00 ან გაეროს განვითარების პროგრამის ვებ-გვერდზე: www.undp.org.ge. წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 17 თებერვალი 18:00 საათი.

## განცხადება

თერჯოლის რაიონული სასამართლოს მიერ მოწვეულია შპს "ოქროს საწმისისა" და ქართული ბიზნესის აღორძინების საერთაშორისო ფონდის გაკოტრების კრედიტორთა კრება 2006 წლის 3 თებერვალს 11 საათზე. მისამართი ქ. ქუთაისი, გრიშაშვილის ქ. №6, მწერალთა კავშირის შენობა.

**დღის წესრიგი:**

1. გაკოტრების მმართველის კახაბერ ლათიბაშვილის და არჩილ მიქელაძის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ;
2. კრედიტორ მზია აბრამიშვილის სამომრიგებლო წინადადების განხილვა;
3. ვალაუვალი მოვალის წარმომადგენლის ნანა ლომთაძის სამომრიგებლო წინადადების განხილვა;
4. კრედიტორთა კომიტეტის შექმნა.

გაკოტრების კრედიტორებს გთხოვთ გამოცხადდეთ აღნიშნულ მისამართზე დილის 9 საათზე.

*თერჯოლის რაიონული სასამართლო*

ყურადღება!
რესტორანი "დაკარგული სამოთხე"
რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207

## საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადება

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ 2006 წლის 26 იანვარს გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში სერვისულ მომსახურებაზე გაპარულ იქნა უზუსტობა.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს მაღალრეიტინგული ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით, ნაცვლად გამოქვეყნებული 1%-ისა.

## შპს "საქართველოს რკინიგზა" დირექტორთა საბჭო

**დადგენილება**
2006 წლის 27 იანვარი N5/92

**სამგზავრო მატარებლით მგზავრობის ტარიფიდან საწოლი თეთრეულით მომსახურების ღირებულების დროებით ამოღების შესახებ**

2006 წლის იანვარში საქართველოში შექმნილი ენერგეტიკული კრიზისის გამო სამგზავრო მატარებლის საწოლი თეთრეულით უზრუნველყოფის საქმეში წარმოშობილი პრობლემებიდან გამომდინარე და ტენდერის შედეგის მიხედვით თეთრეულის მოწოდებაში კომერციული სტრუქტურების ჩართვამდე შპს "საქართველოს რკინიგზის" დირექტორთა საბჭო ადგენს:

სამგზავრო მატარებლების პლაცკარტ და კუპირებული ტიპის ვაგონებით მგზავრობის ტარიფიდან დროებით ამოღებულ იქნას საწოლი თეთრეულით მომსახურების ღირებულება 2 (ორი) ლარის ოდენობით.

დაგენილება ძალაში შევიდეს 2006 წლის 30 იანვრიდან.

გენერალური დირექტორი ი. ეზუგბაია

## სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია"

2006 წლის **1 თებერვლიდან** თბილისის
**აბონენტები სატელეფონო ინდექსებით**
**22 ** **, 23 ** **, 25 ** **, 29 ** **, 74** **, 78** **, 91 ** **, 92 ** **,.**
**93 ** **, 94 ** **, 95 ** **, 96 ** **, 98 ** **, 99 ** **.**

**8-22** გამსვლელი კოდის გარეშე დაუკავშირდებიან

სხვა კომპანიების აბონენტებს, რომელთა ინდექსებია: **19 ** **, 20 ** **, 21 ** **, 24 ** **, 26 ** **, 27 ** **, 28 ** **, 30 5* **, 30 6* **, 30 7* **, 30 8* **, 30 9* **, 32 ** **, 33 ** **, 42 ** **, 43 ** **, 44 ** **, 45 ** **, 46 ** **, 47 ** **, 48 ** **, 49 ** **, 50 ** **, 52 ** **, 53 ** **, 54 ** **, 55 ** **, 56 ** **, 57 ** **, 58 ** **, 59 ** **, 65 ** **, 69 ** **, 70 ** **, 75 ** **, 76 ** **, 77 ** **, 79 ** **, 97 ** ****

წუთობრივი მომსახურების ტარიფი რჩება იგივე,
**1 წუთი - 2 თეთრი.**

სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" აბონენტები, რომელთა ინდექსებია: **40, 41, 60, 61, 62, 63, 64, 66, 67, 68, 71, 72, 73,** სხვა კომპანიების აბონენტებს დროებით კვლავ **8-22** კოდის მეშვეობით დაუკავშირდებიან.

## საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია აცხადებს ტენდერს ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული. შესყიდვა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის ბოლომდე.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ავტოპარკი შეადგენს 33 ავტომობილს (15 ერთეული რუსეთის, 18 ერთეული უცხოური წარმოების).

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 20 თებერვლიდან 21 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი; ინგოროყვას N7

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

*იურიდიული პირისათვის:*

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები);
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
3. ცნობებს სასამართლოდან და / ან საგადასახადო ინსპექციიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;
4. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
5. ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

*ფიზიკური პირისათვის:*

1. ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
2. ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
3. ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის ა/ა 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი: 302003000; დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 20 თებერვლამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი; ინგოროყვას N7.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: რამაზ მინდიაშვილი, საკონტაქტო ტელეფონი: 99 89 77; 8 93 180324 და შორენა მამუკაშვილი, საკონტაქტო ტელეფონი: 93 47 39; 8 99 732878; მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას N7;

სატენდერო კომისია

ჩოგბურთი

# მეშვიდე ტიტული

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა ავსტრალიის ღია ჩემპიონატი მეორედ მოიგო. ფინალის წინ კვიპროსელ მარკოს ბაგდატისზე ფსონს არავინ დებდა. "კვიპროსელმა, უბრალოდ, არ შეიძლება მოიგოს. ზღაპარი როდესმე უნდა დასრულდეს" - დაახლოებით ასე ჟღერდა სპეციალისტთა ვარაუდები.

ბაგდატისმა კი თავიდანვე მიანიშნა ფედერერს, რომ იოლი გამარჯვების იმედი არ უნდა ჰქონდეს. კვიპროსელი საკუთარ მოწოდებებს იგებდა, ხოლო 2:2-ზე მან ბრეიკი გაახერხა, რითიც სპეციალისტთა გაოცება გამოიწვია. აღმოჩნდა, რომ ძლიერი მოწოდების მქონე ბაგდატისს ჩოგბურთის თამაში შეუძლია და თანაც საკმაოდ მრავალფეროვნად. მისი მოულოდნელი სვლები ხშირად აბნევდა როჯერ ფედერერს.

თუმცა ბაგდატისიც, რომელსაც მელბურნში შეარქვეს "ადამიანი რკინის ნერვებით", ღელავდა ამ უპირატესობის გამო და ამ ნერვიულობის ნიადაგზე იმდენი მოახერხა, რომ მეტოქეს საკუთარი მოწოდება დაუთმო. ანგარიში გათანაბრდა - 4:4 და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ კვიპროსელი სეტს ვეღარ გადაარჩენდა, მაგრამ ბაგდატისი ამ ურთულესი მდგომარეობიდან ღირსეულად გამოვიდა.

მეორე სეტის დასაწყისში ფედერერმა საკუთარი მოწოდება წაგო. ის აშკარად დემორალიზებული ჩანდა. თუმცა ბაგდატისმა გადამწყვეტ მომენტებში თვითონ გაფლანგა უპირატესობა "პიჟონობით". საქმე ტაი-ბრეიკამდე მიდიოდა. 5:6-ზე ფედერერის სასარგებლოდ ბაგდატისი საკუთარ მოწოდებაზე - 40:0 იგებდა, მაგრამ გეიმი დათმო და ამასთან სეტიც მეტოქეს მიუძღვნა. უნდა ითქვას, რომ ერთ-ერთ ეპიზოდში კვიპროსელის დარტყმის შემდეგ ბურთი ხაზს შეეხო. მსაჯმა კი აუტი დააფიქსირა. ბაგდატისმა არბიტრთან ბევრი იკამათა, მაგრამ რაკი სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, დადუმდა და საბოლოოდ გატყდა.

მომდევნო ორ სეტში კვიპროსელმა მხოლოდ ორი გეიმი მოიგო. მესამე და მეოთხე სეტებში ფედერერი, უბრალოდ, დასცინოდა მეტოქეს, რომელიც, ყველაფერთან ერთად, ძალიან დაიღალა. როჯერ ფედერერმა უკვე მეშვიდე ტიტული მოიგო "დიდი სლემის" ტურნირებზე. მისმა 20 წლის მეტოქემ კი პირველად მიაღწია ესოდენ შთამბეჭდავ წარმატებას და ბუნებრივია, რომ პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგშიც მნიშვნელოვნად დაწინაურდება.



**ვაჟები:**
როჯერ ფედერერი (შვეიცარია, 1) - მარკოს ბაგდატისი (კვიპროსი) 5:7, 7:5, 6:0, 6:2



**ქალები:**
ამელი მორესმო (საფრანგეთი, 3) - ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია, 8) 6:1, 2:0

ქალთა თანრიგში გამარჯვება ტურნირის მესამე ნომერმა ფრანგმა ამელი მორესმომ იზეიმა. როგორც კი გაირკვა, რომ ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს ჟიუსტინ ენინ-არდენი და ამელი მორესმო შეხვდებოდნენ, ბუკმეკერებმა უპირატესობა ბელგიელს არგუნეს. რაკი ენინმა ფრანგს ბოლო ორი მატჩი მოუგო. ამასთან ბელგიელმა ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე მოგებათა სერია 20-მდე გაზარდა.

თუმცა, როგორც კი ფინალის მონაწილენი კორტებზე გამოჩნდნენ, ყველა პროგნოზი თავდაყირა დადგა. მორესმომ მეტოქეს საშინელი დღე აყარა, რომელსაც ისედაც არაფერი გამოსდიოდა. პირველი სეტი მხოლოდ 33 წუთი გაგრძელდა და ფინალისთვის არადამახასიათებელი ანგარიშით - 6:1 დასრულდა.

მეორე სეტის დასაწყისში ენინ-არდენმა მეტოქეს მოწოდება დაუთნმო და 0:2-ზე კორტის შუაგულისკენ გაემართა, რათა მორესმოსთვის გამარჯვება მიელოცა. "მე თავს ისე ცუდად ვგრძნობდი, რომ კორტზე ყოფნა აღარ შემეძლო. რა თქმა უნდა, ასე ტურნირის დასრულება არ არის სასიამოვნო, მაგრამ საკუთარ თავთან ვერაფერი გავაწყვე - ძალიან მტკივა მუცელი" - პრესკონფერენციაზე აღიარა ჩოგბურთელმა. ჟიუსტინ ენინ-არდენმა ივარაუდა, რომ ყველაფერში დამნაშავე ტკივილგამაყუჩებლების დიდი დოზაა, რომლითაც ის მხარზე მკურნალობდა.

"ეს ჩემი არჩევანია. ჩემი გადაწყვეტილება. მე კორტზე იმის გამო გამოვედი, რომ პროფესიონალი ვარ. არაფერს არ ვნანობ. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ მე, ტკივილის მიუხედავად, თამაში უნდა გამეგრძელებინა, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში თამაში არ შემეძლო. კორტზე რომ გამოვდიოდი ვიცოდი, გამარჯვების შანსი არ მქონდა, მაგრამ ტკივილს გავუძელი, როგორც შემეძლო. დღეს მე ცხოვრების ერთ-ერთი უდიდესი იმედგაცრუება ვიწვნიე" - განაცხადა ენინ-არდენმა და ატირდა.

მორესმომ კი საუბარი ცნობილი ანდაზით დაიწყო: "ერთის მწუხარება მეორეს აბედნიერებს". აქვე ფრანგმა აღნიშნა, რომ ამ გამარჯვებისკენ მრავალი წლის განმავლობაში მიდიოდა. გამარჯვება მორესმომ 1937 წელს გამოშვებული ღვინით აღნიშნა. ძვირფასი სასმელი ამელიმ ოთხი წლის წინათ შეიძინა, მაგრამ მიზეზი დიდი წარმატების აღსანიშნად მხოლოდ ახლა მიეცა.

ვაჟ წყვილთა თანრიგში სენსაცია არ მომხდარა. ტურნირი ამერიკელმა ძმებმა მაიკ და ბობ ბრაიანებმა მოიგეს. ფინალში მათ ჩეხურ-ინდური დუეტი მარტინ დამი და ლეონდრო პაესი დაამარცხეს - 4:6, 6:3, 6:4. "ემოცია, ფაქტობრივად, არ დამრჩა. მთელი ენერგია კორტზე დავტოვე. რაც შეეხება პერსპექტივას, წელს "დიდი სლემის" ყველა ტურნირი მოვიგოთ, ასეთი პერსპექტივა, ფაქტობრივად, არ არსებობს - ძალიან ბევრი ღირსეული მეტოქეა" - განაცხადა ბობ ბრაიანმა.

# დალევის დროა!

ავსტრალიის ღია ჩემპიონატის გამარჯვებულმა ამელი მორესმომ აღიარა, რომ ცოტა გულდაწყვეტილია, რაკი ჟიუსტინ ენინ-არდენმა ვერ შეძლო ფინალის ბოლომდე დასრულება.

- რა თქმა უნდა, ეს არ არის საუკეთესო ვარიანტი გამარჯვებისთვის - მატჩის შემდეგ განაცხადა მორესმომ - თუმცა კმაყოფილი ვარ, რომ საბოლოო ჯამში მოვახერხე ტურნირის მთავარი პრიზის მოგება. ვფიქრობ, ჩემი თამაშით ეს დავიმსახურე.

**- იცოდით, რომ მეტოქე თავს შეუძლოდ გრძნობდა?**

- არა, ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. მე სერიოზული თამაშისთვის ვემზადებოდი. მქონდა გეგმა, რომლითაც ვხელმძღვანელობდი. და სიმართლე გითხრათ, ჩემთვის სულ ერთი იყო, როგორ გრძნობდა თავს მეტოქე.

**- თქვენი თამაშით კმაყოფილი ხართ?**

- პირველ სეტში ბევრი რამ გამომდიოდა, ამიტომ თამაშის ხარისხით კმაყოფილი დავრჩი.

**- შეიძლება თქვენს მდგომარეობაზე გავლენა იმანაც მოახდინა, რომ ტურნირის სამ შეხვედრაში მეტოქეებმა სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაგიწიეს და თქვენ გამარჯვებას არც ისე დიდი ენერგია შეალიეთ?**

- შეიძლება. მე საკმაოდ იოლად ვძლიე კრაიჩეკს, მაგრამ ის მზად არ აღმოჩნდა ასეთ სიცხეში თამაშისთვის. აი, კიმთან მატჩმა კი, ცოტა არ იყოს, გადამტვირთა.

**- რას გრძნობდით, როცა ბადეს გამარჯვებულის სტატუსით უახლოვდებოდით?**

- ჯერ მინდოდა გამეგო, ყველაფერი დამთავრდა თუ არა? მე ჟიუსტინს ვკითხე და მან მიპასუხა, რომ მეტი თამაში აღარ შეუძლია. თუმცა ჟიუსტინის მხრიდან თამაშის შეწყვეტის მიუხედავად, ეს ტურნირი ჩემი იყო.

**- დამეთანხმებით, რომ ისეთი გამარჯვების შემდეგ ემოცია ისეთი არ არის...**

- დიახ. ვფიქრობ, ჩემი სიხარული უფრო დიდი იქნებოდა მატჩი რომ ბოლომდე ჩამთავრებულიყო. მაგრამ სიხარული მაინც არის და თანაც როგორი.

**- ეთანხმებით მოსაზრებას, რომ ტრავმის მიუხედავად ჟიუსტინს მატჩი ბოლომდე უნდა დაემთავრებინა?**

- ამას კომენტარს არ გავუკეთებ. მე დღეს მზად ვიყავი გამარჯვებისთვის კორტზე მოვმკვდარიყავი. აი ასეთი განწყობით გამოვედი კორტზე.



*მორესმო 1937 წლის ღვინოს შეექცა.*

**- ავსტრალიაში "დიდი სლემის" ტურნირებზე თქვენი საუკეთესო თამაში აჩვენეთ, თუ სხვაგან უკეთ გითამაშიათ, მაგრამ გამარჯვება ვერ მოიპოვეთ?**

- არა. აქ საუკეთესო თამაში იყო. შეიძლება სხვა რომელიმე ტურნირზე ცოტათ უკეთაც მითამაშია, მაგრამ ისეთი გამარჯვების რწმენა, როგორც ახლა, არასოდეს მქონია. და ეს ყველაფერი ვაიდისოვასთან შეხვედრით დაიწყო. თუმცა იმ დროს კისრის არეში ტკივილები მაწუხებდა.

**- თქვენ ტრავმის გამო თამაში როდესმე შეგიწყვეტიათ?**

- არა, ასეთი რამ არ მახსოვს.

**- სასიამოვნოა აქ ჯილდოსთან ერთად ჯდომა?**

- თანაც როგორ (იცინის).

**- არ გინდათ, წელს "დიდი სლემის" ყველა ტურნირის მოგებაზე იზრუნოთ?**

- ჰოოო! ეს ჩემი მომდევნო მიზანია (იცინის). ჩემთვის ავსტრალიაში გამარჯვება ბევრს ნიშნავს. მე ძალიან დიდხანს ველოდი "დიდი სლემის" პირველი ტურნირის მოგებას. ახლა ჩოგბურთში ყველაფერს მივაღწიე, რისი მიღწევაც შემეძლო. მე ხომ აქტივში ფედერაციის თასზე გამარჯვებაც მაქვს.

**- როგორ აპირებთ ამ გამარჯვების აღნიშვნას?**

- სამი თუ ოთხი წლის წინათ მე ერთი ბოთლი ძალიან კარგი ღვინო შევიძინე. და მე საკუთარ თავს სიტყვა მივეცი, რომ ამ ბოთლს მაშინ დავაჭაშნიკებ, როცა "დიდი სლემის" ტურნირს მოვიგებ-მეთქი. ახლა დროა ის გავხსნა, რადგან სიმართლე გითხრათ, მომბეზრდა მისი სახლში შენახვა. ამას გარდა, ჩემი მეგობრები აუცილებლად მომიწყობენ დღესასწაულს, მაგრამ ისინი მხოლოდ უახლოესი ადამიანები იქნებიან.

სათხილამურო სპორტი

# ავსტრიას მეოთხე ხმა აკლია

გიგა გურასაშვილი

*აქეთ 1936 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი გარმიშპარტენკირხენი, იქით 1956 წლის თამაშების – კორტინა დ`ამპეცო. აქეთ ბავარიული ალპები, იქით დოლომიტები. აქეთ ვაჟები, იქეთ ქალები. მთლიანობაში სამთომოთხილამურეთა მსოფლიო თასის ეტაპები, ჩანაფიქრში კი - კარსმომდგარი ტორინოს ოლიმპიური თამაშები. დამთხვევაც ამას ჰქვია.*

მსოფლიო თასის მოქმედ ჩემპიონს, შვედ ანია პერსონს იმისთვის, რომ პარასკევს სუპერგიგანტში ემარჯვენა, ამერიკელების – ჯულია მანკუზოსა და ლინდსეი კილდოუს შემოტევისთვის უნდა გაეძლო, მაგრამ ეს ერთადერთი არ ყოფილა, რაც პერსონისთვის წინაღობას წარმოადგენდა. საკმაოდ რთულ და მომთხოვნ ტრასაზე სრიალს ცუდი ხედვადობაც დაერთო. მართალია, ამ შემთხვევაში ყველა თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ შვედს ზედ სტარტის წინ სათვალეებთან დაკავშირებით შეექმნა პრობლემები, მისი საუკეთესო შედეგი ორმაგად დასაფასებელია. გარდა ამისა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ პერსონი ტექნიკური დისციპლინების დიდოსტატია და არა ჩქაროსნულის.

მანკუზომ და კილდოუმ კი, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს. სამეულს ერთი საფეხურით ჩამორჩა ხორვატი იანიცა კოსტელიჩი, რომელიც, პერსონთან ერთად, ტორინოს ოლიმპიურ თოვლში ფავორიტადაა მიჩნეული.

არადა, ერთნი დოლომიტებში წარმატებას ავსტრიელებისგან – რენატე გიოჩლისა და მიხაელა დორფმაისტერისგან უფრო ელოდნენ, მათ კი მერვე-მეათე შედეგებით ჩაისრიალეს, თუმცა შაბათის დაშვების მთავარი მოქმედი გმირები მაინც ისენი გახდნენ.



*დორფმაისტერი ვადამდე ადრე დაეუფლა ბროლის გლობუსს.*

გიოჩლმა თუ დაშვებაში სეზონის პირველი გამარჯვება მოიპოვა, რაც ავსტრიელის კარიერაში მეცხრე ასეთი წარმატებაა, დორფმაისტერს მეოთხე ადგილიც ეყო საერთო ჩათვლაში ბროლის გლობუსის ვადამდე დასაუფლებლად!

“ბროლის გლობუსით მართლაც რომ გავიხარე. იანვარშივე რომ შევძელი ამის გაკეთება, ცოტა უცნაურიც კია. არადა, ტრასით უკმაყოფილო ვარ – მოკლე იყო და ამასთან სახიფათოცო, - გამარჯვების შემდეგ აცხადებდა 32 წლის დორფმაისტერი, რომელსაც სეზონის დასრულებასთან ერთად კარიერის დასრულება განუზრახავს. – ჩემი წარმატების საიდუმლო, ალბათ, სწორედ ის იყო, რომ კარიერას ვასრულებ. ახლა ყოველი დღით ვტკბები. ყოველთვის, როდესაც სტარტზე გავდივარ, კარგ გუნებაგანწყობაზე ვარ, ეს კი სწრაფად სრიალში მიწყობს ხელს”.

სხვათა შორის, დორფმაისტერი ახლოსაა ბროლის გლობუსის დაუფლებასთან სუპერგიგანტშიც, რომლის ჩათვლაშიც მოწინავე ადგილი უკავია. აი, აბსოლუტურ ჩათვლაში კი მხოლოდ კოსტელიჩს ჩამორჩება.

ანია პერსონი, რომელმაც ერთი დღით ადრე სუპერგიგანტი მოიგო, შაბათის დაშვებაზე ასპარეზობაზე უარის თქმა.

ვაჟთა ასპარეზობებიდან ყველაზე საინტერესო შაბათის დაშვება გამოდგა.

ავსტრიელთათვის, ალბათ, ყველაზე დიდი პატივი სამთომოთხილამურეთა ნაკრებში ასპარეზობის უფლებაა, მით უმეტეს იმ გუნდში, რომელსაც ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე სულისშემძვრელ დისციპლინაში – დაშვებაში ასპარეზობის პატივი დარჩება. სამთომოთხილამურეთა ერად შერაცხულ ნაკრებში, უფრო სწორად, იმ გუნდში, რომელსაც ყველაზე ჩქაროსნულ დისციპლინაში მოუწევს ტორინოს ოლიმპიურ დამრეცებზე სრიალი, სამი ადგილი უკვე დაკავებულია. კვარტეტის შესავსებად გასათამაშებელია მეოთხე ადგილი. სწორედ ამ ერთი ადგილისთვის იბრძვიან ახლა მეგობრები, თანაგუნდელები და ერთ ოთახში მცხოვრები კლაუს კროელი და ანდრეას ბუდერი. მათგან განსხვავებით მიხაელ ვალშოფერს, ფრიც შტრობლსა და ჰერმან მაიერს სანერვიულო აღარ აქვთ. აი, კროელსა და ბუდერს კი ამ მხრივ ყველაფერი წინ აქვთ. მანამდე კი თავი იმით გამოიჩინეს, რომ მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს და წინ მხოლოდ ტიტულოვანი ჰერმან მაიერი გაუშვეს. როგორც ხედავთ სამივე ადგილი ავსტრიელთა საკუთრება გახდა.

“ჩვენ ერთმანეთს ვგულშემატკივრობთ, - ბუდერთან შესაძლო მეტოქეობაზე საუბრობს კროელი. – ჩვენს შორის არც დუელია და არც სხვა რამ. ჩვენ არც ერთმანეთის მტერი ვართ. სათხილამურო სპორტი ინდივიდუალური სახეობაა და თუ რომელიმე შენზე სწრაფია, ამ შემთხვევაში ვერაფერს იზამ. სხვა თუ არაფერი, ყველაზე სწრაფი მეგობრები ვართ”.

სავარაუდოდ, ნაკრებს, ალბათ, ისევ კროელი შეავსებს, რომლმაც შაბათს კარიერაში მეორედ შეძლო კვარცხლბეკზე ასვლა. ამასთან, მეგობარზე მეტად აფასებს საკუთარ შანსებს: “დარწმუნებული ვარ, მეოთხე და ბოლო ადგილი მე დამრჩება...

ყოველთვის რთულია ავსტრიელთა ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრა, მაგრამ თუ ამას შეძლებ, დიდი შანსი გაქვს იმისა, რომ ოლიმპიადიდან უმედლოდ არ დაბრუნდე”.

კროელის არ იყოს, დიდი შედეგებით ვერც მისი მეგობარი დაიკვეხნის - ბუდერმა კარიერაში პირველად შეძლო კვარცხლბეკზე ასვლა.

**27 იანვარი**
**კორტინა დ`ამპეცო, იტალია**
**სუპერგიგანტი**
**ქალები:**

| | |
|---|---|
| ანია პერსონი | 1:16.75 |
| ჯულია მანკუზო | 1:17.09 |
| ლინდსეი კილდოუ | 1:17.53 |

**28 იანვარი**
**კორტინა დ`ამპეცო, იტალია**
**დაშვება**
**ქალები:**

| | |
|---|---|
| რენატე გიოჩლი | 1:09.64 |
| ჯულია მანკუზო | 1:09.69 |
| ელიზაბეტ გერგლი | 1:09.94 |

**გარმიშპარტენკირხენი, გერმანია**
**დაშვება**
**ვაჟები:**

| | |
|---|---|
| ჰერმან მაიერი | 1:57.56 |
| კლაუს კროელი | 1:57.83 |
| ანდრეას ბუდერი | 1:57.84 |

**29 იანვარი**
**კორტინა დ`ამპეცო, იტალია**
**გიგანტური სლალომი**
**ქალები:**

| | |
|---|---|
| ნიკოლ ჰოსპი | 2:33.51 |
| ჟენევიევ სიმარი | 2:33.82 |
| ელიზაბეტ გერგლი | 2:34.08 |

**გარმიშპარტენკირხენი, გერმანია**
**სუპერგიგანტი**
**ვაჟები:**

| | |
|---|---|
| კრისტოფ გრუბერი | 1:26.52 |
| სკოტ მაკარტნი | 1:27.34 |
| ჩედილ ანდრე ამოდტი | 1:27.37 |

ჭიდაობა

# თავისუფლები და ბერძენ-რომაელები ყალიბდებიან

*რამდენიმე დღეში თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავენი ვერის ბაღში, მიხეილ კეკელიძის სახელობის საკალათბურთო დარბაზში საასპარეზოდ შეიკრიბებიან. 30-31 იანვარს თავისუფალი სტილით მოჭიდავეები გავლენ ხალიჩაზე, შემდეგ კი ესტაფეტას ბერძენ-რომაელები ჩაიბარებენ (12 თებერვალი). ერთი სიტყვით, საქართველოს ჩემპიონატი იწყება. დანარჩენი კი ორთაბრძოლებისას გამოჩნდება.*

გიგა გურასაშვილი

ჭიდაობის გულშემატკივრებს, პირველ ყოვლისა, იმათი ხილვა უნდათ, ვისაც საერთაშორისო ასპარეზზე უსახელებია თავი. თუმცა, როგორც ნაკრების მწვრთნელები ზაზა თურმანიძე და ბეგი დარჩია გვარწმუნებენ, ჩემპიონატს არც მათ გარეშე მოაკლდება ხიბლი, რადგან საამისოდ ყველას კარგი სტიმული აქვს. საქმე ის არის, რომ საქართველოს ჩემპიონატს ერთგვარი შესარჩევი დატვირთვა ექნება ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის ნაკრებთა ჩამოსაყალიბებლად.

აქვე გეტყვით, რომ ტრავმების გამო ვერ გამოვლენ რევაზ მინდორაშვილი, ოთარ თუშიშვილი (თავისუფალი სტილი), ბადრი ხასაია და ლადო გეგეშიძე (ბერძნულ-რომაული). რაც შეეხება ლუკა კურტანიძეს, ის ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება და საერთაშორისო ასპარეზზე მხოლოდ ერთ თვეში გამოცდის საკუთარ ძალებს. ჭიდაობის მოყვარულებმა იციან, დანარჩენებს კი ვეტყვით, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, რომელიც აქამდე 96 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა, მძიმე წონაში გადავიდა. ასე რომ, მუდმივი პრობლემა, რომლის გამოც კურტანიძეს დიდი შეჯიბრებების წინ წონაში დაკლება უწევდა, დღის წესრიგიდან მოხსნილია. გარდა ამისა, ლუკას მძიმე წონაში გადასვლა იმითაცაა კარგი, რომ რუსეთიდან დაბრუნებულ გიორგი გოგშელიძეს, რომელიც 96 კგ წონაში ასპარეზობს, ხელ-ფეხი გაეხსნება.

“საქართველოს ჩემპიონატზე ყველა იასპარეზებს. ჩემპიონატის მიხედვით დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები. ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ. დანარჩენი მწვრთნელების გადასაწყვეტი იქნება”, – ამბობს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კახა გეწაძე.

მართალია, საქართველოს ჩემპიონატი ნაკრების შემადგენლობის ჩამოსაყალიბებლადაცაა გამიზნული, მაგრამ არც ისე იქნება, რომ კონტინენტის შეჯიბრებებზე მხოლოდ საქართველოს ჩემპიონებს გაეხსნებათ გზა.

“ნაკრების შემადგენლობის ჩამოსაყალიბებლად რიგ საერთაშორისო ასპარეზობებსაც მივმართავთ, - გვეუბნება ბერძენ-რომაელთა მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია, – საქართველოს ნაკრებში მოსახვედრად ყველასთვის ღიაა კარი, თუმცა იმისთვის, რომ საკუთარი შესაძლებლობები დაამტკიცონ, საერთაშორისო სარბიელზე თავის გამოჩენაცაა საჭირო. ერთი სიტყვით, საქართველოს ჩემპიონის წოდების მომპოვებელს საერთაშორისო სარბიელზეც მოუწევს გამოცდის ჩაბარება, რომლის მიხედვით დავაკომპლექტებთ კიდეც გუნდის შემადგენლობას”.

თავისუფალთა ნაკრები არ გამოვა მსოფლიო თასზე, რომელსაც თებერვალში ირანი უმასპინძლებს. კახა გეწაძის თქმით, ის ვერ ხედავს ნაკრების შემართებას ამ რანგის შეჯიბრებაზე საასპარეზოდ.

აქცენტი

# თეატრი არის დრამატურგია?!

## გემრიელი ლუკმა ბოლოსთვის

სოფო კილასონია

*25 იანვრიდან დაწყებული, ბოლო ოთხი დღე, თეატრალურ სარდაფში რუსთაველზე სრულიად განსაკუთრებული მაყურებელი დაიარებოდა. მსახიობები, რეჟისორები, თეატრის კრიტიკოსები და უბრალოდ თეატრისა და ლიტერატურის მოყვარულები "თანამედროვე ქართული პიესების კითხვას" ესწრებოდნენ და აქტიურ კამათსა და დისკუსიებში მონაწილეობდნენ. პიესების კითხვის გამართვის ინიციატორი დრამატურგი ლაშა ბუღაძე გახლავთ. "თანამედროვე ქართული პიესების კითხვა" დრამატურგიის პოპულარიზაციას და თანამედროვე თეატრისა და დრამატურგიის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობას ემსახურება. პროექტი ექსპერიმენტული გახლდათ, თუმცა უკვე ახლა შეიძლება იმის თქმა, რომ შესაძლოა ის ყოველწლიურ მოვლენადაც იქცეს.*



*ლევან წულაძე, ლაშა ბაქრაძე და ლაშა ბუღაძე.*

საქართველოში "კითხვა" პირველად გაიმართა, მაგრამ საზღვარგარეთ მსგავსი მოვლენა საკმაოზე მეტად არის მიღებული. რიგ შემთხვევებში იქ არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ უცხოურ თანამედროვე დრამატურგიასაც ეცნობიან. ამ ბოლო წლების განმავლობაში, სწორედ ასეთი სახის ფესტივალებსა და "ბაზრობებზე" ქართველი დრამატურგების, ლაშა ბუღაძის, ბასა ჯანიკაშვილის და კიდევ რამდენიმეს პიესებმაც მიიქციეს ყურადღება. ის, რომ მსგავსი ღონისძიებები თანამედროვე დრამატურგიის და თეატრის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშაობს, ძალიან მარტივი და სასიამოვნო დასასაბუთებელია. მაგალითისთვის, რომ არა მოსკოვში ამ ბოლო წლებში გამართული პიესების კითხვა, ქართული თანამედროვე მწერლობა, დრამატურგია, ლაშა ბუღაძის სახით ვერ გახდებოდა ასე რიგად საინტერესო და ცნობადი რუსული და არა მხოლოდ რუსული, შესაძლოა ქართული თეატრალური საზოგადოებისთვის. რომ არა ამ უკანასკნელი ქართველი ავტორის პიესების მიერ გაღვივებული ცხოველი ინტერესი, ქართველ რეჟისორებს თბილისში ჩამოსული რუსი კოლეგები ვერ წააქეზებდნენ და ვერ მოუწოდებდნენ, რომ ყურადღება მიექციათ ამ კონკრეტული დრამატურგისთვის და საერთოდაც, ქართული თანამედროვე დრამატურგიისთვის. უნდა ვაღიაროთ, რომ შესაძლოა, ერთეულ შემთხვევაში და ჩვენს ერთ კონკრეტულ ავტორთან მიმართებაში, რაღაც მომენტში ფამილარულ შეფასებებში რაღაც-რაღაცის აღნიშვნა გამოგვრჩა და რაღაც-რაღაცების დანახვაში უცხოელმა კოლეგებმა დაგვასწრეს, მაგრამ ნუ ვიტყვით, რომ მსგავსი ფაქტები ჩვენთვის უცხოა და პირველად შეგვემთხვა. ასე თუ ისე, მთავარ თემას უნდა დავუბრუნდეთ... ახალი თაობის ქართველი დრამატურგებისთვის პიესების საჯარო კითხვის პრეცედენტები კარგად იყო ნაცნობი. ქართულ თეატრში არსებული პრობლემების გადასალახად და მისი ბევრად წარმატებული განვითარებისთვის, გარკვეული პრაქტიკის გათვალისწინებით, ამ მოვლენის თბილისური ვერსია მოიგონეს და იდეის განხორციელებისთვის "პირველი სარდაფის" შემოქმედებითი ჯგუფიც აიყოლიეს.

პირველი დღე მართლაც რომ დატვირთული აღმოჩნდა. პირველი იმიტომ, რომ ახალი მოვლენის პრეზენტაცია უნდა მომხდარიყო, შემდეგ უკვე ბასა ჯანიკაშვილის პიესათა კრებულის "სანამ ერთმანეთს გავიცნობდით" პრეზენტაცია. ამ ყველაფრის შემდეგ პირველი პიესა და მისი დაძაბული, მთლად კარგად გამართული ვერა, მაგრამ საერთო ჯამში მაინც გასაგები, თაბახის თეთრი ფურცლებიდან ამოკითხული ტექსტები, ისევ ბასა ჯანიკაშვილის პიესიდან "მეტრო", რომელმაც აზრთა სხვადასხვაობაც და ზოგადად თანამედროვე ლიტერატურული პროცესების, ენის, მისი სპეციფიკის განმსაზღვრელი დებატებიც კი გამოიწვია. "თეატრი არის დრამატურგია, ჩვენ, რეჟისორები, მსახიობები, დროებითი კრება ვართ. ჩვენ არ ვრჩებით, დრამატურგები კი საუკუნეებში რჩებიან. 300 წლის შემდეგ დღევანდელ თეატრზე მათი ნაწარმოებებით იმსჯელებენ, ამიტომაც თეატრებისთვის სასარგებლოა მათთან ურთიერთობა, თუმცა არც მათთვის არის ურიგო ჩვენთან თანამშრომლობა." – აღნიშნავდა ლევან წულაძე, თუმცა ამასთან ერთად კიდევ ბევრი ითქვა... შესავალ საუბრებსა და მონოლოგებს, როგორც იქნა, პირველი პიესის კითხვა მოჰყვა. "მეტროს" კიდევ ექვსი სხვა ლიტერატურული ქმნილება მოსდევდა, მათ კი ავტორებსა და მსმენელებს შორის გამართული დებატები. როგორც აღნიშნავდნენ, შემთხვევა, როცა ხმამაღლა და ღიად გამოხატავდნენ პოზიციას, დამოკიდებულებასა და სიმპათია-ანტიპათიას, პირველი იყო, ანდა უბრალოდ თეატრალებს აღარ ახსოვთ, ამგვარი რამ ბოლოს როდის მოხდა. ასე თუ ისე, "კითხვებს სარდაფში" ყველა, როგორც ერთი, დიდად იწონებდა და ამ კეთილგონივრულ წამოწყებას თეატრსა და ბუღაძეს ყველა უწონებდა.

წაიკითხეს ნინო ბასილიას "საიმედოობის თეორია", თამარ ბართაიას "დაგვიანებული დღიური", სანდრო კაკულიას "სეანსი", გიო მგელაძის "გაიღიმეთ, ჩიტი გამოფრინდება...", ზაზა ბურჭულაძის "დედა" და ბოლოს, ლაშა ბუღაძის "ვიდრე მთავარ გმირს ეძინა". კითხულობდნენ მსახიობები, რეჟისორები და დრამატურგები. ზოგიერთი პიესა რეჟისორმა წარადგინა, ზოგიც თავად ავტორმა. აქედან ყველაზე საინტერესო სარდაფში მისული მსმენელი-მაყურებლისთვის მაინც დრამატურგების წაკითხული აღმოჩნდა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მაგრამ, მაინც არის რამდენიმე მაგრამ და ისინი რომ არ ყოფილიყო, არც არაფერი იქნებოდა საინტერესო.

მიუხედავად იმისა, რომ "კითხვების" იდეის ავტორს, ლაშა ბუღაძეს ეგონა, საზოგადოების მიერ გაკეთებულ შენიშვნებს მეტ-ნაკლებად მაინც გაიზიარებდნენ მწერლები, ასე აშკარად არ მომხდარა. ბასა ჯანიკაშვილის პოზიციაა "ძალიან საინტერესოა კრიტიკის მოსმენა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მას ვეთანხმები", მეტნაკლებად ყველამ გაიზიარა, თუმცა ვინ როგორ გამოხატა, სულ სხვა საქმეა. ამას გარდა, ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ პიესათა ავტორები ამ დღეებში დიდი ენთუზიაზმით დაიარებოდნენ და კოლეგათა ნამუშევრების განხილვას ესწრებოდნენ სარდაფში. ამ თვალსაზრისით, შესაძლოა არც რეჟისორები იწუხებდნენ დიდად თავს, თუმცა "სარდაფის" დარბაზი მაინც უყრიდა თავს იმ საზოგადოებას, რომელმაც ამ დღეებში არაერთი პრობლემატური საკითხი წამოჭრა და მეტ-ნაკლები სითამამით მიმოიხილა. ნებისმიერ საკითხზე საუბრის ინსპირაციის ობიექტი მაინც ესა თუ ის პიესა გახლდათ.

წაკითხულ პიესათაგან, ერთის გამოკლებით, ყველა "თავისუფალია" და როგორც აღნიშნეს, ნებისმიერი რეჟისორისთვის ხელმისაწვდომი. ლაშა ბუღაძის პიესის "ვიდრე მთავარ გმირს ეძინა" ექსკლუზივი ქეთი დოლიძეს ეკუთვნის. როგორც აღმოჩნდა, ეს და კიდევ ბასა ჯანიკაშვილის პიესა "სანამ ერთმანეთს გავიცნობდით" (ეს უკანასკნელი "პიესების კითხვაზე" წარმოდგენილი არ ყოფილა) სწორედ რომ რეჟისორის დავალებით არის დაწერილი. დავალება კი შემდგომში მდგომარეობდა: მოქმედება ოთახში უნდა მიმდინარეობდეს, პერსონაჟთა რაოდენობა კი ორს არ უნდა აღემატებოდეს. მიუხედავად ამისა, ბუღაძეს ვერ მოუთმენია და კიდევ ერთი, მძინარე, მაინც დაუმატებია. ეს ალბათ ის პიესა გახლდათ, რომელმაც კრიტიკისთვის მომართული საზოგადოება ერთ აზრზე დააყენა და არა კონკრეტული პიესის, არამედ ბუღაძის ლიტერატურული ენის, სტილის, "მისი აბსურდის" გაანალიზების მცდელობაც დაიწყო. "კარგია, რომ ყველაზე გემრიელი ლუკმა ბოლოსთვის შემოინახეთო" – აღნიშნა ერთ-ერთმა ახალგაზრდა რეჟისორმა, თუმცა უფრო გამოცდილები ბევრად უფრო რთული სტრუქტურის მონოლოგებმა გაიტაცეს.

ბატონმა გურამ ბათიაშვილმა ლაშა ბუღაძის აბსურდის მნიშვნელოვანი საწყისები პიესაში "ოთარი" დაინახა და შემდეგ იგი რამდენიმე მიმართულებად დაყო. წარმოდგენილი პიესა, რომელმაც არა თუ საზოგადოების მოწონება დაიმსახურა, არამედ გარკვეულ ლოგიკურ და სასიამოვნო დასასრულად მოევლინა "კითხვებს სარდაფში", ბატონი გურამის აზრით, კიდევ სხვა და ახლებური აბსურდია ბუღაძის დრამატურგიაში.

მოქმედება მართლაც ოთახში მიმდინარეობს, ოღონდაც სასტუმროს ნომერში. მოქმედი პირნი სასიყვარულო ისტორიაში გაბმული ლექტორი და სტუდენტი არიან. ანუ, დაკონკრეტებული ჩაკეტილი სივრცე, მკაფიოდ წარმოდგენილი ყოფითი სცენა, ისე, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ამ ავტორთან. ერთგული მკითხველი კი ხვდება, რომ ოთახი მზადაა იმისთვის, რომ რაღაც მოხდეს ისეთი, რის გამოც კრიტიკოსები პიესას აბსურდად მონათლავენ, და მართლაც, შემოდის დიპლომატმომარჯვებული მამაკაცი, რომელიც... მოსალოდნელი მსვლელობა მოქმედებისა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პიესა გამეორებაა, ანდა მსგავსია რომელიმე წინამორბედისა. შესაძლოა პირიქითაც იყოს და ისიც უნდა ითქვას, რომ რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, ის მართლაც რომ სიახლეა ბუღაძის მკითხველისთვის, მაყურებლისთვის. შესაძლოა, ამ ავტორისთვის ქვეტექსტური მსჯელობა-დიალოგები მუდამ დამახასიათებელი იყო, მაგრამ ახალი ნამუშევრის კითხვისას გაჩენილი აზრებიცა და განცდებიც გამორჩეულად მრავალფეროვანია, უფრო ზუსტად კი, მრავალფენოვანი.

მისი აბსურდი უკიდურესად პირობითია, თუმცა მაინც ხალისის, იუმორისა და ჩვეული ირონიის "შემომტანი", ტექსტები კი "გამსხვილებული" და მრავლისმთქმელი, ერთდროულად მარტივიცა და რთულიც. განცდები კი უჩვეულოდ გამძაფრებული... თუ აქამდე მის აბსურდულ რეალიზმში სოციუმი რამდენიმე პრობლემა-ნიშნით, მათი ნაკრებით შემოდიოდა, ამჯერად თემა კონკრეტიზირებულია, თუმცა მისი სიმძაფრე თან ყველა ასპექტით იშლება, თან შესაქცევი დიალოგებით თავს არ გვაწყენს და ამიტომაც კითხვის პროცესი არ რთულდება. ახალ პიესაში კიდევ უფრო იხვეწება ერთი დიდი და საერთო წინააღმდეგობა. წინააღმდეგობა მის აბსურდსა და რეალიზმს შორის, წინააღმდეგობა არსებული მის სიუჟეტური პრობლემის სირთულესა და მისი გადაწყვეტის სიმარტივეს შორის, წინააღმდეგობა ტექსტებსა და ქმედებებს შორის. წინააღმდეგობისა და დაპირისპირების წარმოჩენა ერთ დიდ მთლიანობაში, ისე, რომ არაფერი იშლებოდეს, შეიძლება ითქვას, ყველაზე რთული რამაა საერთოდ თანამედროვე ხელოვნებაში. რთულია, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ამას ყოველგვარი წვალების გარეშე, სახალისო თამაშებით ახერხებენ.

ლაშა ბუღაძის მორიგი თამაში სულ მალე ქეთი დოლიძის დაკვირვების ობიექტი გახდება. როგორც გვითხრეს, პრემიერა ერთ თვეში შედგება და დანარჩენსაც მერე ვიტყვით.

# გალა-წარმოდგენა გადაიდო





მელორ სტურუა
*საქ. კორ. აშშ-ში*

ფეხბურთში მსოფლიო თასის გერმანელი მასპინძლები სტარტს ორიგინალურად გეგმავდნენ. მათ 7 ივნისს ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე გრანდიოზული გალა-წარმოდგენა უნდა გაემართათ. წარმოდგენის ორგანიზატორებმა 5000-კაციანი სია შეადგინეს: ელოდნენ ამერიკულ სოპრანო ჯესი ნორმანს, ჯგუფ "ბლეკ აიდ პისს", პოპ-ვარსკლავ პიტერ გებრიელს, ბრაიან ინოს და სხვებს. გალა-კონცერტის მომზადება საკმაოდ ძვირი ჯდებოდა, იაფფასიანი არც ბილეთები იყო - 121 დოლარიდან 907-მდე! გალა-წარმოდგენის მხატვრული ხელმძღვანელი ანდრე ჰელერი არ მალავდა, რომ დიდი სურვილი ჰქონდა "გადაეჯჯოკრა" ოლიმპიური თამაშების გახსნისთვის...

მაგრამ, სრულებით მოულოდნელად, გრანდიოზული წარმოდგენის იდეით აღტკინებულ ბერლინს ფიფამ დაურეკა: "არავითარი გალა-კონცერტი!" საქმე ისაა, რომ საფეხბურთო "გაერო" სასტიკი წინააღმდეგია ყოველგვარი კულტურული სანახაობებისა, რადგან ექსპერტების დასკვნით, კულტურული ჰიპ-ჰოპი ხელს შეუშლის მოედნის საფარის დროულ მომზადებას (პირველი მატჩი 13 ივნისისთვის არის დაგეგმილი). ასეთია ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერის განცხადება: "ფიფას გაურთულდა გალა-კონცერტზე უარის თქმა, მაგრამ ამ შემთხვევაში სპორტული ინტერესები პრიორიტეტულია."

ამას ისიც დაემატა, რომ "მომხმარებელთა დაცვის გერმანულმა ჯგუფმა" ჩემპიონატის ორგანიზატორები უსაფრთხოების წესების დაუცველობაში დაადანაშაულა. საუბარი იყო თორმეტივე სტადიონზე, სადაც თამაშები უნდა გამართულიყო. ორგანიზაციის ღრმა რწმენით, განსაკუთრებით ექსტრემალური სიტუაციებისთვის მოუწყობელია ლეიფციგის, ბერლინისა და გელზენკირხერნის სტადიონები. ასეთმა შენიშვნამ გერმანელების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ფრანც ბეკენბაუერის თავმოყვარეობა შელახა. "როგორც ჩანს, ამ ბატონებს რაღაც-რაღაცეები სმენიათ სახის კრემებზე, მტვერსასრუტებსა და ზეითუნის ზეთებზე... ჰოდა, ურჩევნიათ, თავიანთ საქმეს მიხედონ," - ირონიულად განაცხადა ბეკენბაუერმა.

თუმცა ყველაზე მტკივნეულად ბერლინელებმა მაინც გალა-კონცერტის გადადება აღიქვეს. ქალაქის მერმა კლაუს ვობერაიტმა განაცხადა: "ბერლინელები გულაცრუებულნი დარჩნენ". მისი შემოთავაზებით, შოუს გადატანა ოლიმპიური სტადიონიდან სხვა ტერიტორიაზეც შეიძლებოდა, მაგრამ როგორც ჩანს, ფიფა ამ შემოთავაზებაზეც უარს იტყვის.

საბოლოოდ, კანონმორჩილი გერმანელები ბედსაც დამორჩილდნენ. "ბერლინის სტადიონზე მსოფლიო თასის გათამაშებამ და ფინალურმა შეხვედრამ კეთილსასურველ პირობებში უნდა ჩაიაროს და ეს ყველაზე მთავარია", - დაადასტურა ჩაშლილი გალა-შოუს სამხატვრო ხელმძღვანელმა ჰელერმა.




**ყურადღება!**

**დაიკარგა ლაიკა "ხასკი", ცისფერი თვალებით. მპოვნელი დასაჩუქრდება. შეტყობინებისთვის გთხოვთ, დარეკოთ ტელეფონზე 899 14 02 77**

**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

**ნაუტილუსი**

**გთავაზობთ:**



- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge









**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**


ტელევიზია

# თეატრალური წარმოდგენები სატელევიზიო მედიაში

ნინია კაკაბაძე

ერთ-ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკითხი წყდება. ბუნებრივია, ჩვენი საინფორმაციო სამსახურები ამ დროს მობილიზებულია და ყოველი მათგანი ცდილობს, ინფორმაცია შემთხვევის ადგილიდან მოგვაწოდოს.

იხსნება კადრი, კადრში ზემოთ აღნიშნული მოლაპარაკებების შენობაა გაჭედილი. ისმის ხმა. ხმას მოჰყვება ჩვენი ჟურნალისტი, რომელიც შენობის მარჯვენა მხრიდან შემოდის და დინამიკაში, ანუ სიარულით, კიდევ ერთხელ გვიმეორებს იმ ტექსტს, რომელიც ცოტა ხნის წინ საინფორმაციო გამოშვების წამყვანმა მოგვახსენა. მოვიმარჯვოთ პულტი და იმისათვის, რომ მეტი ინფორმაცია მივიღოთ, ყური დავუგდოთ და შევხედოთ სხვა არხის საინფორმაციო გამოშვებას. ყველაფერი მსგავსია, გარდა იმისა, რომ აქ ჟურნალისტი შენობის მარცხენა მხრიდან შემოდის და იგივე ტექსტს იგივე დინამიკაში მოგვახსენებს. მოძრავი "სთენდაფები" ქართული ტელევიზიების საიდენტიფიკაციო კოდივით არის. ეს ის აუცილებლობაა, რომელზე უარის თქმის უფლება არც ერთ სტაჟიან, კვალიფიციურ თუ ახალბედა ჟურნალისტს არ გააჩნია. ხმა დაირხა, საზოგადოებრივ მაუწყებლობას გაცილებით მაღალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი სატელევიზიო აპარატურა ექნება და ამიტომ ჩვენც მოუთმენლად ველით იმ მომენტს, როდესაც ჟურნალისტი ციდან ჩამოფრინდება და ასე ფრენა-ფრენით მოგვახსენებს ჯერ არგაციებულ ინფორმაციას.

ვინც ქართულ საინფორმაციო გამოშვებებს თვალს ადევნებს, არ შეიძლება თვალში არ მოხვდეს და ყურადღება არ მიაქციოს ამ ე.წ. სთენდაფებს (ტექსტი, რომელსაც ჟურნალისტი კადრში ამბობს). მაგალითად, თუ ქათმის გრიპზე გვაქვს საუბარი, ჟურნალისტი ოთხ ფეხზე დგება და კაკანით გვამცნობს მოსალოდნელი ეპიდემიის საშიშროებებს. ტექსტის ბოლოს კი სამჯერ ყივის. ეს რასაკვირველია, ჩემ მიერ ოდნავ უტრირებული ვერსია გახლავთ, მაგრამ ამგვარი სთენდაფების მთავარი კრედო "სადაც ხარ, იქაური ქუდი დაიხურე" რომ არის, ესეც ფაქტია. ამიტომ საავადმყოფოში - ხალათით დავსეირნობთ, ყანაში - თოხით ხელში, სამხედრო ბაზაზე - სამხედრო ფორმით, გუდაურში - თხილამურებით, მხოლოდ ერთ ადგილას ვერ გაიყიდა ქართული სისპეტაკე და ჯერ ვერ ვნახე საცურაო აუზიდან ან კი ზღვის რომელიმე კურორტიდან ჩვენი ჟურნალისტების სთენდაფები საცურაო კოსტიუმში.

მოსიარულე ჟურნალისტის სახე-ხატება ქართულ სატელევიზიო სივრცეში რუსმა განმანათლებელმა, ბატონმა კისელიოვმა დანერგა, სწორედ მან დაგვიწყო საუბარი დინამიკაში – სეირნობით, სხვადასხვა რაკურსით და ა.შ. მას შემდეგ რეფორმატორი რუსი ჟურნალისტის ქართველი მიმდევრები ყოველდღიურად ხვეწენ და ავითარებენ მოძრავი სთენდაფების ოსტატობას.

ისეთი შემთხვევებიც არსებობს, როდესაც ცუდი სთენდაფისთვის ჟურნალისტი დაუწუნებიათ ან სამსახურიდან დაუთხოვიათ. ამიტომ ჩვენი საინფორმაციო გამოშვებები ამგვარი თეატრალიზებული სანახაობებით სავსეა. თავს აღარ შეგაწყენთ მათი ფანტაზიის უშრეტი მაგალითებით, სადაც რეპორტაჟის ავტორები ხან კლდეზე ცოცავენ, ხან ღობეზე, ხან მიწიდან ამოდიან და ხან ცხენზე ამხედრებულები გვესაუბრებიან.

როგორც "ევრონიუსის" პერიოდული მაყურებელი, მინდა ნიშნისმოგებით აღვნიშნო, რომ ევროპელი ჟურნალისტების შემოქმედებითი პოტენციალი აშკარად გაცილებით მდარე დონის არის, ვიდრე ჩვენი თანამემამულეების. სინამდვილეში კი სამწუხაროა, რომ ქართული სატელევიზო ჟურნალისტიკის უდიდესი ენერგია და ძალისხმევა სწორედ ამ მიმართულებით იხარჯება. მეორე მიზანმიმართული სტრატეგია, გარდა კარნავალური სანახაობებისა, მნიშვნელოვანი ფაქტების, ტენდენციების და ინფორმაციის მეორე პლანზე გადატანა და თითიდან გამოწოვილი, ნეგატიური და არა პოზიტიური მოვლენების გაშუქებაა, რაც მნიშვნელოვნად აბინძურებს ქართული ტელევიზიის ცისფერ ეკრანს. შესაძლებელია ამ შემთხვევაში ამგვარი სტრატეგია არ იყოს პირდაპირი დაკვეთა ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ თუკი ჟურნალისტებს არ ეძლევათ საშუალება, ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია მიაწოდონ მოსახლეობას, მაშინ ბუნებრივია, მისი მიჩქმალვა და გაუფასურება საუკეთესო გამოსავალია. ეს იმ თვითცენზურის ერთ-ერთი გამოვლინებაა, რომელზეც დღეს უკვე ბევრს ლაპარაკობენ. მსგავსი სურათია, მაშინ როდესაც მოქმედ ჟურნალისტებს მედიაში არსებულ პრობლემებზე ესაუბრებიან. რამდენიმე ხნის წინ, ერთ-ერთ განახლებულ არხზე, ახალ ტოქ-შოუში მორიგი შეხვედრა მოეწყო ჟურნალისტებთან, სადაც ერთობ უხერხული და კომიკური სიტუაცია შეიქმნა. კონკრეტულ შემთხვევაზე - მოგვიანებით.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ჟურნალისტი, რომელსაც უწევს მედიაში, რომელიმე მედიამფლობელის დაქვემდებარებაში მუშაობა, რომელიც ასევე ჯაჭვური რეაქციით მიბმულია ხელისუფლებაზე, ყოველთვის თავს არიდებს რეალურ და კონკრეტულ პრობლემებზე საუბარს, რომელიც ამ შემთხვევაში სწორედ მას და მის პროფესიულ საქმიანობას ეხება. მაგალითად, ერთ-ერთი უკანასკნელი ფაქტი, რაც საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩა: ტელეკომპანია "იმედსა" და "რუსთავი 2"-ზე არსებულ თოქშოუებში აქამდე გადაცემის პარალელურად მიმდინარეობდა ინტერაქტიული გამოკითხვები, სადაც მაყურებელთა ზარის მიხედვით, ანუ ხალხის დამოკიდებულების პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით, შესაძლებელი იყო წარმოდგენა შეგვექმნა იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს ამა და ამ საკითხზე მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა. ამას ერთი ამგვარი წინაპირობა ჰქონდა. ინგა გრიგოლიას გადაცემაში "რეაქცია" საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს გამოკითხვა არ ასახავს რეალურ სურათს, ვინაიდან გრიგოლიას გადაცემას ოპოზიციურად განწყობილი მაყურებელი ჰყავს. ბუნებრივია, გამოკითხვა ხელისუფლებისათვის არასახარბიელო სურათს წარმოგვიდგენდა. ამის შემდეგ ტოქ-შოუების რიცხვს ეკა ხოფერიას გადაცემა "მთავარი თემა" დაემატა, სადაც ინტერაქტიული გამოკითხვების მეშვეობით სურათი ხელისუფლების წარმომადგენელთათვის ისევ წამგებიანი იყო. როგორც ეტყობა, არგუმენტები მათთვის არასაკმარისი აღმოჩნდა (მსგავსი არგუმენტი ამ უკანასკნელზე არ გამოდგებოდა) და, აქედან გამომდინარე, ყველაზე მარტივი გამოსავალი მოინახა; ორივე ზემოხსენებულ ტოქ-შოუში გადაცემის პარალელურად მიმავალი ინტერაქტიული გამოკითხვა, სადაც საშუალოდ 80 ათასამდე ზარი შემოდიოდა, მოიხსნა.

ქართულ მედიაში არსებულ გადაცემაში შეკრებილი ჟურნალისტების საუბარი კი კომიკური იმის გამო გახლდათ, რომ სწორედ ინგა გრიგოლიას უმტკიცებდა პრემიერ-მინისტრი, სატელევიზიო მედიაში დღეს ცენზურა არსებობსო. საბედნიეროდ, გადაცემაში ისეთი ჟურნალისტებიც იყვნენ მიწვეულნი, რომელთაც არც პროფესიონალურ საქმიანობაში ეხებათ ცენზურა და არც მედიაში არსებულ ცენზურაზე ეკრძალებათ საუბარი. ყველაზე ჩუმად, შეუმჩნევლად და მოკრძალებულად ჟურნალისტური გამოძიების ოდნავ ძველი პოპულარული გადაცემის "60 წუთის" წამყვანი და ავტორი კაკო გოგიჩაიშვილი იჯდა, რომელსაც კიდევ უფრო ადრე, ისე როგორც კომუნისტურ ეპოქაში ხდებოდა ხოლმე, თაროზე 7 გამზადებული გადაცემა სამუდამოდ და სათუთად გადაუნახეს.